# ლ ა მ პ ა რ ი

თ ფ ი ლ ი ს ი

პარასკევი, 5 (18) მაისი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.


ბაქოს ციხეში პოლიტიკური ტუსაღი მოკლეს.—ორი ყუთი ვინტოვკა გაიტაცეს.—მუშა დეპუტატი სოციალდემოკრატი ადრესს არაფერს უმატებს—მუშები თავის თავს თითონ დაიცავენო.—კონსერვატორი გლეხი დეპუტატი ქალების უფლებრივი თანასწორობის წინააღმდეგია.


№ 14 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი  გ ა ზ ე თ ი. № 14



ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ლ ა მ პ ა რ ი“

„**ლამპარი**“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში**: რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17 და პროვინციებში ჩვენს აგენტებთან: **ერევანში**—ა. შუშანიანცი, **გორში**—არჩუაძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **ფოთში**—ბესარიონ ვაშაკიძე, **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა“, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ხონში**—ბახტაძის წიგნისმაღაზია „რუსთაველი“, **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **თელავში**—ქეთო ხარაფიშვილისა, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ქლენტი.

**აგენტებს** რედაქცია ნომერს **ორ კაპეიკათ უთმობს.**

დასაბეჭდი წერილები გარკვეულათ და ცალ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს.

**ქალაქის ხელის მომწერლებს რედაქცია სთხოვს დამტარებლებს გაზეთის გამოსაწერათ ფულებს ნუ გადასცემენ. გაზეთის გამოწერა თვის პირველი რიცხვიდან** შეიძლება.

**რედაქცია** თხოვს აგენტებს **ყოველ კვირაში ანგარიში გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების გზავნა შეესპობათ.**

**რედაქციის კანტორა იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 39.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.



**რუბენ ლაზარის ძე ხარაბაძე და ერისტო პეტრეს ძე შენგელია** აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 5 მაისს წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალული იქნება

**ალექსანდრე ხარაბაძე.**

ცხედარს მიხაილოვის საავათმყოფოდან გამოასვენებენ შუადღის 12 საათზე.



ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის გამგეობა ამით აცნობებს „ამხანაგობის“ წევრთ, რომ არაჩვეულებრივი კრება დანიშნულია, ხელახლათ, 7 მაისს, დილით „ამხანაგობის“ ფარდულში. რადგანაც ეს კრება მეორეჯერაა დანიშნული, რამდენი წევრიც უნდა დასწრობს, კანონიერათ იქნება ჩათვლილი. (2—1)


### სახელმწიფო დუმა და ხალხი

(სეფე-სიტყვის ადრეს-პასუხის გამო)

ისტორიას არ ახსოვს სახალხო წარმომადგენლობის ისეთ უკუღმართ და აღმაშფოთებელ პირობებში შედგენა, როგორც ეს წილათ ხვდა რუსეთის პირველ სახელმწიფო დუმას. მთავრობის თვითმპყრობელობამ იხმარა მთელი თავისი ბიუროკრატიული ორგანიზაცია და შემოიღო უკუღმართი საარჩევნო სისტემა; მთავრობისავე ალვირ-წახსნილი, რეაქცია გაშმაგებულის მუყაითობით ცდილობდა შეტაკებითა და ათასგვარ რეპრესიებით ხალხის გულში ჩაეკლა ყოველივე მისწრაფება ადამიანობისადმი, თავისუფლებისადმი; მთავრობამ აამოძრავა ყველა თავისი ბნელი ძალები, რათა „ღირსეულ და ხალხის ნდობით აღჭურვილ“ წარმომადგენელთა ნაცვლათ მოეკრიფა მთავრობისავე თვითნებობის დამადასტურებელი უსიტყვო ბრბო. თავისთავათ ცხადია, რომ ასეთ პირობებში შედგენილი დუმა არ არის ხალხის სურვილის ნამდვილი გამომხატველი; ასეთი დუმა არ არის ხალხის სუვერენიტეტის (უზენაესობის) განმახორციელებელი ორგანო. და აი, მიუხედავათ ამ უტყუარ ჭეშმარიტებისა, სახელმწიფო დუმა მაინც სრულიად განსაკუთრებულ სახეს ღებულობს; ამის მიზეზია განსაკუთრებული სოციალ-პოლიტიკური გარემოება, ე. ი. რევოლიუციონური მდგომარეობა, რასაც განიცდის დღევანდელი რუსეთი და რამაც სახელმწიფო დუმა უნდა დაგრიხოს ხალხის სურვილისამებრ. დღევანდელი დუმა არ არის ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლობა, არ არის ხალხის უზენესობის ორგანო; მაგრამ დუმასა და იმპერიის ხალხს შორის მაინც გაბმულია ცხოველი სიმები, პირველი ამოძრავებს მეორეს, მეორე ამოძრავებს პირველს და [illegible]ტორი-

ტეტიულათ გზას უჩვენებს მას. რომ ეს ასეა ამას უკვე რამოდენადმე მოწმობს დუმის კომისიისაგან შემუშავებული სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესი.

ადრესი, რა თქმა უნდა, არ ეხება მთავრობის ფორმას—რესპუბლიკა ნაყოფი უნდა იყოს რევოლიუციის სრული გამარჯვებისა—მაგრამ ადრესს საერთოთ დემოკრატიული ხასიათი აქვს. წამოყენებულია შემდეგი პრინციპები: სახალხო წარმომადგენლობა დამყარებული საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე; დღევანდელ სახელმწიფო საბჭოს გაუქმება; მთავრობის ნამდვილი პასუხისმგებლობა ხალხის წარმომადგენლების წინაშე (ამის აუცილებლათ საჭიროება ადრესში ორჯერ არის განმეორებული); დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც უნდა სდარაჯობდეს კანონიერების დაცვას, როგორც უბრალო მოქალაქეთაგან, ისე მთავრობისა და მოხელეებისაგან; საბოლოოთ გაუქმებულ უნდა იქნას სიკვდილით დასჯა; არ უნდა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო სფერა, რომლის გადაშინჯვა არ შეეძლოს სახალხო წარმომადგენლობას; გაუქმებულ უნდა იქნას ყველა წოდებრივი განსხვავება პრივილეგიები (უპირატესობანი); კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყვენ უკლებლივ ყველა მოქალაქენი განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა; უზრუნველ ყოფილი უნდა იქნას პიროვნების ხელ-შეუხებლობა, თავისუფლება სინიდისისა, სიტყვისა, ბეჭვდისა, თავისუფლება კავშირებისა, კრებებისა და გა**ფიცვებისა**; გლეხობის მიუცილებელ საჭიროების დაკმაყოფილებას უნდა მოხმარდეს სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო მიწები, აგრეთვე კერძო მემამულეთაგან საძალდებულოთ ჩამორთმეული მიწები; ყველა დარგის მუშებისათვის უზრუნველ ყოფილ უნდა იქნას თავისუფალი ორგანიზაცია და თვითმოქმედება მუშათა ნივთიერ და სულიერ კეთილდღეობისათვის. დასასრულ, ადრესი აცხადებს, რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო არის: მთელი რუსეთის განთავისუფლება განსაკუთრებულ, გაძლიერებულ დაცვის წესებისგან, სამხედრო მდგომარეობისგან და სრული პოლიტიკური ამნისტია.

ეს ადრესი მართალია არ აღიარებს სრულ დემოკრატიას, მაგრამ მაინც წამოყენებულია დემოკრატიის მთავარი პრინციპები. ადრესის ერთი უპირველესი ნაკლულევანება ისაა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლებას არ განმარტავს სიტყვებით: თანასწორი, განურჩევლათ სქესისა და პირ დაპირი.

დღევანდელი დეპეშები გვატყობინებენ, რომ დუმაში დაწყებული დებატები ამ ადრესის განსახილველათ და მისაღებათ, ცდილობენ ადრესს უფრო ენერგიული და დემოკრატიული გამოხატულება მისცენ. მემარჯვენეთა დეპუტატებს დუმა ხმაურობით ეგებება და სიტყვას აწყვეტინებს; მემარცხენე დეპუტატების პირდაპირი, გაბედული და ოპოზიციონური სიტყვები. დუმის აღტაცებულ ტაშის ცემას იწვევს. საინტერესოა, რომ თვით ზომიერი მაქსიმ კოვალევსკი გადაჭრით ემხრობა მემარცხენეთ; იგი ითხოვს ადრესში ჩამატებულ იქნას, „რომ სახელმწიფო საბჭო მხოლოდ უმაღლესი ადმინისტრატიული დაწესებულებაა და არა საკანონმდებლო დაწესებულება“. ეს ნიშნავს მეორე პალატის სრულ გაუქმებას. კოვალევსკის სიტყვას დუმა გაუთავებელ ტაშის ცემით ეგებება. ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ საპასუხო ადრესის პროექტი მიღებულ იქნება დუმისაგან და თუ ადრესის ოპოზიციონურ-დემოკრატიული კილო კიდევ უფრო აწეული არ იქნება, ცხადია მაინც მას არ შეასუსტებენ.

საგულისხმოა ისიც, რომ თუმცა 29 აპრილის სხდომაზე უარყოფილ იქნა ამნისტიის გამოცხადების დაუყონებელი საჭიროება, დუმის საპასუხო ადრესი ბეჯითად აცხადებს: „ქვეყანას სწყურია სრული პოლიტიკური ამნისტია; ეს არის ხალხის სინიდისის მოთხოვნა. ამას უარი არ ეთქმება. ამ მოთხოვნის შესრულება არ შეიძლება დახანებულ იქნას“.

ერთის სიტყვით, დუმა ლაჩრობას თავს ახწევს, მას ოპოზიციონური სული უცხოველდება, იგი დემოკრატიისაკენ იხრება. და ის ძალა, რომელიც დუმას ამ გზაზე ეწევა, არის, რასაკვირველია, ხალხის მოძრაობა. დუმა რომ უკვე გრძნობს ხალხის ძალას, ეს მან უკვე აღიარა კადეტების ბელადის—როდიჩევის პირით: „ხალხის ზედ-მოწოლა,—განაცხადა მან,—დუმამ უნდა გარდაქნას აღმშენებელ მუშაობათო“. დიახ, სახელმწიფო დუმას ამოძრავებს ხალხი და ხალხი უჩვენებს მას აუცილებელ გზა-კვალს.

ხალხი რომ ფხიზლათ დარაჯობს დუმას, ამას კარგათა მოწმობენ დუმის პირველი დღეები. დუმის გახსნასთან ერთად პეტერბურგი გადაიქცა ნამდვილ სამხედრო ბანაკათ. მთელი ქალაქი გაყოფილი იყო სამხედრო ნაწილებათ, თვითეულ ნაწილს ჯარი ეყენა ხალხთან საომრათ მომზადებული. ხალხი მაინც მრავლათ ირეოდა ქუჩებსა, მოედნებზე, თვით სახელმწიფო დუმის წინ და მუშათა უბნებშიაც შესაფერი მიტინგები იმართებოდა. მთელს იმპერიაში ხალხის ყურადღება მიჯაჭულია დუმაზე და პირველსავე საჭიროებაზე მზათ არის აქტიურ მოქმედებისათვის გამოსასვლელ[ათ]. ამას დუმა კარგათა ხედავს, ამას დუმა ანგარიშს უწევს და ხალხისკენ იხრება.

დიახ, დღევანდელი სახელმწიფო დუმა არ არის ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა, მაგრამ მაინც დუმასა და ხალხს შორის გაბმული არის ელექტრონის გადამტანი უხილავი მავთულები. ამიტომ დუმა უნდა გახდეს იმ იარაღათ, რომლის დახმარებით განხორციელდება ხალხის ნამდვილი უზენაესობა.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია თუ, როგორი უნდა იყოს სახალხო ტაქტიკა. სახელმწიფო დუმის ყოველ მოქმედებას, ყოველ ნაბიჯს უნდა სდარაჯობდეს ხალხის მედგარი, მკაცრი რევოლიუციონური თათბირობა. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ხალხის მთელი ძალღონე; აქეთკენ უნდა მოძრაობდეს პროლეტარიატი და მისი ბუნებრივი მოკავშირე გლეხობა. ეს არის თავდები რევოლიუციის გამარჯვებისა.

### პოლიტიკური მიმოხილვა

**სახელმწიფო საბჭოც ოპოზიციონერობს.**

რა სიურპრიზებს არ გვთავაზობს რევოლიუცია?! ერთი ასეთი სიურპრიზი ოპოზიციონური სათათბიროს შედგენა იყო. ამაზე უარესი სიურპრიზი სახელმწიფო საბჭოს ოპოზიციონერობაა. ეს დაწესებულება მთავრობამ სწორეთ იმ მიზნით დააარსა, რომ ოპოზიციონური სათათბიროსათვის მუხრუჭი მოეჭირა და ამ მიზნით ყოველი ხრიკი იხმარა, რომ ეს დაწესებულება რეაქციონურ ხულიგანურ ელემენტებისაგან შეედგინა (უმეტეს ნაწილათ სულ ბიუროკრატებს, მღვდელ-ეპისკოპოს-მიტროპოლიტებს, სხვილ ბურჟუებს და სხვა ამათი ჯიშის ხალხს მოუყარა შიგ თავი). ამის გამო ყველა დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფო საბჭო უეჭველათ „ხულიგანური“ იქნებაო. მაგრამ დახეთ რევოლიუციის ირონიას! სახელმწიფო საბჭოც კი წყალ-წაღებულ მთავრობას „ოპოზიციონური“ გამოადგა და ამ ხავსსაც კი ის ტყუილათ-ღა დაუწყებს პოტინს, ველარც მას მოეჭიდება. თუ დეპეშებს დავუჯერებთ, სახელმწიფო საბჭოს პირველ ხანებში მეტი ოპოზიციონერეობაც კი გამოუჩენია, ვინემ სათათბიროს. იმ დროს, როდესაც სათათბიროს დიდ ძალი უმრავლესობა დიდი ყოყმანით და გაუბედავათ ეკიდებოდა ამნისტიის კითხვას, ამ დროს სახელმწიფო საბჭოს დიდ უმრავლესობას კერძო თათბირზე ეს კითხვა ძალიან გაბედულათ დაუყენებია და კატეგორიულათ გამოუთქვამს ის აზრი, რომ პოლიტიკურ დამნაშავეებს [illegible] პროვინციის ადმინისტრაციის მოქმედება და თავგამოდებით მოუთხოვიათ, რომ ყველა პოლიტიკური სასამართლოს გადაწყვეტილება [illegible] ხილველათ. ერთმა წევრთაგანმა (შიპოვმა) განცვიფრება გამოაცხადა ძირითადი კანონების გამოქვეყნების გამო, რომლებიც, მისი აზრით ბუნდოვანათაა შედგენილი და ადმინისტრატიულ თვითნებობას ფართო გზას უხსნის, ამის გამო ორატორმა წინადადება შეიტანა ეთხოვოს მეფეს გააუქმოს ძირითადი კანონებიო.

რამდენათ გულწრფელია საბჭოს წევრთა ასეთი „ოპოზიციონერობა“, ეს მათი სინდისისათვის მიგვინდვია; ის კი ეჭვს გარეშეა, რომ რევოლიუციის ტალღებს შიპოვების და ძმათა მისთა აზროვნება თავდაყირა გადაუტრიალებია!

**ვიტეც გაოპოზიციონერდა.**

რევოლიუციის ტალღებს ნამეტნავათ გრ. ვიტესთვის შეუტრიალებია „აზრთა მიმდინარეობა“, ეს პოლიტიკური ობერ-ქამელეონი, ეს საარაკო თვალთმაქცი გასაშტერებელი სისწრაფით იცვლის თავის პოლიტიკურ სახიერებას. გუშინ უკიდურესი რეაქციონერი დღეს შეუდარებელი ლიბერალი ხდება, მიხედვით იმისა, თუ რომელ მხრიდან უფრო ძალუმათ ქრის პოლიტიკური ცხოვრების ნიავ-ქარი. გაიმარჯვა თუ არა ოქტომბერში რევოლიუციონურმა მოძრაობამ, ვიტე კონსტიტუციის მახარობელათ მოევლინა რუსეთს. გაიმარჯვა თუ არა დეკემბერში რეაქციამ, ვიტე, დურნოვოსთან ერთათ, შემაძრწუნებელ ჯალათათ მოევლინა ქვეყანას და მთელი სახელმწიფო ააოხრა, აუარებელი ხალხი გაჟლიტა. გაძლიერდა თუ არა ოპოზიციონური მოძრაობა სათათბიროს არჩევნების გამო და დარწმუნდა თუ არა ვიტე, რომ სათათბირო ოპოზიციონური იქნება და მას მის ამხანაგებთან ერთათ მსჯავრს დასდებდა, გრაფმა ხელათ თავი მოიკატუნა, პილატესავით ხელის ბანა დაიწყო და თავისებური ხრიკებით შეეცადა ქვეყნისათვის ეჩვენებინა, რომ რაც საზიზღრობა რუსეთში ამ ბოლო დროს მოხდა, ეს სულ სხვების ბრალი იყო, მე-კი ყველაფერ ამას თავგამოდებით ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ვერას გავხდიო. დარწმუნდა თუ არა ვიტე, რომ ასეთი ლითაიებით ვერავის მოატყუებდა და პასუხისმგებლობას ვერ აიშორებდა, მან ერთბაშათ მიაგდო მინისტრ-პრეზიდენტის პორტფელი და მოქუსლა. მაგრამ მან არ ინდომა პოლიტიკურ ასპარეზის მალათ მიტოვება და იმ იმედით, რომ თავისი ხრიკებით საქმეს კიდევ როგორმე გამოაკეთებს, სახელმწიფო საბჭოში ამოყო თავი და მისი თავმჯდომარე შეიქნა. და აი გაოპოზიციონერებულ საბჭოში ვიტე პირველი ოპოზიციონერი გახდა; ის აქ ყველაზე უფრო თავგამოდებით გამოესარჩლა ამნისტიას და მოითხოვა ძველი წეს-წყობილების გაუქმება. აი რა თქვა მან: „ამნისტია არაფერ შემთხვევაში არ შეიძლება რევოლიუციონურ მოძრაობის მიზეზი გახდეს, პირიქით სწორეთ ამნისტია არის ის არქიმედის ბერკეტი, რომლის შემწეობითაც შეიძლება ქვეყანათ მშვიდობიანობის დამყარება. დროა მთავრობამ გააუქმოს ძველი წესები და ადმინისტრატიული თვითნებობა, რომლის მეოხებითაც აუარებელი ხალხი კაზემატებშია ჩამწყვდეული. კაცთმოყვარეობის და სამართლიანობის სახელით, ქვეყნის დასამშვიდებლათ საბჭომ ამნისტია უნდა ითხოვოსო“ და სხ...

ამნაირათ ვიტე გმობს იმ წესწყობილებას, რომლის სულის ჩამდგმელიც თვითონ იყო; გმობს იმ ადმინისტრატიულ თვითნებობას და ყოველგვარ იმ უსამართლობას, რომელსაც გუშინ თვითონ იდენდა, თვითონ აქეზებდა, თვითონ ფენდა მთელ რუსეთს მის ასაოხრებლათ და დასაწიოკებლათ. ასე თვალთმაქცობს გრაფი ხალხის რისხვის თავიდან ასაშორებლათ. მას რევოლიუცია ევროპის ბანკირები გონია და ცდილობს მასაც თვალები აუხვიოს თავისი გაიძვერობით.

**მთავრობის პროვოკაცია მუშებში და გლეხთა დეპუტატების რეზოლიუცია.**

გლეხთა დეპუტატების თათბირს ბალტიის ზავოდის მუშათა დეპუტაცია წარუდგა და განუცხადა: მთავრობამ პროვოკაციის მიზნით გაფიცვის გამოსაწვევ[ათ] გამოუცხადა ხსენებულ ზავოდის აუარებელ [მუშ]ებს, უმეტეს ნაწილათ კი შიდლოვსკის კომისიის [წევ]რებს და აგრეთვე ზავოდის დეპუტატებათ ნაყოფთ, ე. ი. ამხანაგებში ყველაზე უფრო პატივცემულ პირებს, რომ ყველა ესენი სამი დღის განმავლობაში პეტერბურგიდან წავიდენ და თავიანთი ცოლშვილი უმწეუნუგეშოთ დატოვონ- ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, მთავრობა ძალით გაგზავნას და დატუსაღებას ემუქრებაო. თათბირმა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია მიიღო: „სათათბიროს წევრთა, რიცხვით 122 კაცის, კრება, რომელიც შესდგება გლეხთაგან, ქალაქის მუშათაგან და მშრომელ ინტელიგენციისაგან... მთავრობის ასეთ საქციელში ხედავს პროვოკატორულ მოქმედებას იმ მიზნით, რომ მუშები გაფიცვაზე აიძულოს სათათბიროს გახსნის დროს და ამით თავისი რეპრესიები გაამართლოს. ღრმა გულისწყრომას ვუცხადებთ მთავრობის ასეთ მოქმედებას და მოვიწვევთ ამხანაგ-მუშებს არ აყვენ ჩინოვნიკურ მთავრობის არავითარ წაქეზებას და სწამდეთ, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ მედგრათ და ბოლომდე ვიბრძოლოთ ყოველგვარი თვითნებობის მოსასპობათ და მშრომელთათვის სრული თავისუფლების მოსაპოებლათ“.

გლეხებისა და მუშების ასეთი ერთობა, ასეთი სოლიდარული მოქმედება ნუ თუ სრული თავმდები არ არის იმის, რომ სწორეთ ესენი, და არა კადეტები, გადაწყვეტენ როგორც სათათბიროს, ისე მთელი რევოლიუციის ბედს.

**მთავრობის „კონსტიტუცია“ და რეპრესიები.**

მთავრობა რეპრესიებისთვის მიზეზებს ეძებს, მაგრამ მიზეზების უქონლათაც მან სათათბიროს გახსნისთანავე ყველგან გააძლიერა რეპრესიები. ამას ჩვენი თვალით ვხედავთ თფილისში, სადაც ასე გაამრავლეს პატრულები და გაახშირეს ჩხრეკა. როგორც რუსეთის გაზეთებიდან ჩანს, ასეთივე ამბები ყოფილა სხვა ქალაქებშიაც. პოლიტიკურ ტუსაღების გადასახლება არა თუ არ შეწყვეტილა, თითქო უფროც გაუხშირებიათ. ყოველ დღე ათასობით მიყავთ თურმე ასეთი ტუსაღები და დღეს მარტო არ-

ხანგელსკის და ვოლოგდის გუბერნიაში გაგზავნილთა რიცხვი 30 ათასზე თურმე მეტია. დაჭერაც ოდნავ არ შემცირებულა, ცენზურა ისევ განაგრძობს თავის სისასტიკეს: მრავალ ჟურნალ გაზეთებს კეტავს, იჭერს წიგნებს და სხ. რკინის გზის პოლიცია ანადგურებს სადგურებზე და ფოსტაში მიღებულ ყოველგვარ დაბეჭდილ ნაწარმოებებს. ქალაქის პოლიცია ჩხრეკს ყველა წიგნის მაღაზიებს. ციხეებში ტუსაღებს საშინლათ აწვალებენ, ხანდახან კიდეც ხოცავენ, სოფლებში სტრაჟნიკები ხვრეტენ გლეხებს ქუჩებზე და სახლის წინ. პოლიტიკურ დამნაშავეებს სიკვდილით სჯიან ჩამოხრჩობით თუ დახვრეტით. თვით პეტერბურგში პოლიცია თავს ესხმის და ფანტავს ყოველგვარ კრებას, ისეთ კრებებსაც კი, რომლებშიაც სათათბიროს წევრებიც იღებენ მონაწილეობას. ხალხის კრებები და მიტინგები ხომ სასტიკათ აკრძალულია. ეჭვი არ არის მთავრობა შეეცდება კიდევ უფრო გააძლიეროს რეპრესიები, ამას განსაკუთრებით პეტერბურგში მოახერხებს, რადგან, როგორც იქიდან დეპეშები გვაუწყებენ, მთავრობას თავისი პროვოკაციის შემწეობით უკვე იძულებული გაუხდია მუშები გაფიცვა გაემართათ: გაფიცულან ჯერ ქალაქის წყლის მილის მუშები, ხოლო შემდეგ კი, რადგან მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ მოუსურვებიათ, გაფიცვისთვის მხარი დაუჭერიათ და თვითონაც გაფიცულან „პეტერბურგის“ და ვასილიევის მხარეთა მუშები. ამის გამო მთავრობას აუარებელი მხედრობა ფეხზე დაუყენებია და მცირეოდენ შემთხვევას უცდის, რომ ჰაერში ტყვიების ზუზუნი ასტეხოს... და აი ასეთი ამბებით გარშემორტყმულ სათათბიროში ლაჩარი კადეტები ყველა ამ საზიზღრობის ჩამდენ მთავრობას მორიდებით და კრძალვით ქედს უხრიან, ემუდარებიან მოწყალება მოიღეო, უშიშარ გლეხთა დეპუტატებსაც კი პროტესტის ხმის ამოღების დროს პირში ბურთს ჩრიან. უეჭველათ კადეტების ასეთი ცბიერი საქციელია იმის მიზეზი, რომ, როგორც ისმის, დღეს პეტერბურგში ხალხმა უკვე სათათბიროს საწინააღმდეგო მიტინგების გამართვა დაიწყო. ეს მოძრაობა, ეჭვი არაა, დღითი-დღე გაიზრდება და, თუ სათათბირომ კვალვ განაგრძო თავისი ვაჭრობა მთავრობასთან, [illegible] ცეცხლით ქცეული, სათათბიროსაც და მთავრობის ბუნაგსაც ერთიანათ მიანგრ-მოანგრევს.

# ახალი ამბები

◆ 25 აპრილს მეტეხის ციხის საავათმყოფოდან გადმოყვანილ იქნა ქალაქის საავათმყოფოში ალექსანდრე ლაზარეს ძე ხარაბაძე. აქ ის 3 მაისს გარდაიცვალა; დაკრძალვა დანიშნულია დღეს, დილის 10 საათზე. გამოასვენებენ ქალაქის საავათმყოფოდან.

◆ სამ მაისს მადატოვის კუნძულზე ყარამან ელჩიევის მამულში სახლს ალყა შემოარტყა პატრულმა სამი აფიცრის ხელმძღვანელობით. ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ ერთი ხანჯალი და ერთიც ბავშვის სათამაშო ხმალი იპოვნეს. იქვე დააპატიმრეს ორი სრულიად უდანაშაულო კაცი. მაგრამ მოულოდნელმა სტუმრებმა ესეც არ იკმარეს და წასვლისას სამი ხალიჩა, ვერცხლის ქამარი, საათი, ოქროს ბეჭედი (სულ ათ თუმნათ ღირებული ნივთები) და ფულათაც ოცდახუთი მანეთი თან გაიყოლიეს.

◆ ქალაქის ხუროებმა 1 მაისი გაფიცვით იდღესასწაულეს.

◆ თფილისის გუბერნატორი აცხადებს, რომ თფილისის გუბერნიის მუშათა რწმუნებულთა არჩევნები სათათბიროს ამომრჩევლის ასარჩევათ 7 მაისიდან 14 მაისამდე გადაიდოო.

◆ ბორჯომში ხის მხერხავ ქარხნის მუშათა არჩევნები რწმუნებულის ასარჩევათ გაუუქმებიათ, რადგან რწმუნებული ელიაშვილი მხოლოდ 2 თვეა, რაც ამ ქარხანაში მუშაობსო.

◆ ქუთაისის გუბერნიის მმართველი იტყობინება კავკასიის ნამესტნიკის კანცელიარიაში, რომ სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობა, თითქოს შორაპნის მაზრაში სხვათა შორის ამომრჩევლათ ბ-ნი სტაროსელსკი ამოერჩიოთო.

◆ ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული ცნობა, თითქოს გენერალ-გუბერნატორს შეეჩერებინოს მღდ. იონა ბრიხნიჩევის გაზეთის გამოცემა და თვით ბრიხნიჩევისთვის წინადადება მიეცეს საგენერალ-გუბერნატორო საზღვრები დაეტოვებინა, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა.

◆ „ნ. მ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ბაქოდან, რომ იქ 3 მაისს ვიღაც უცნობთ [illegible] ბის კანდიდატი სათათბიროში.

◆ ამ რამდენიმე დღის წინეთ თფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ქართლის მცხოვრებ—ივანე გლახაშვილისა, ვასილ ზასოხიშვილისა, სანდრო და რეზო [illegible]აშვილებისა და იოსებ მოსიაშვილისა. ამათ ბრალდებოდათ ქართლში ს. ფცაში თ. ლევან ამირაჯიბის მოკვლა. ამირაჯიბს რამდენიმეჯერ დასცემიან ვიღაც უცნობნი და იარაღი მოუთხოვნიათ, ამირაჯიბს უარი განუცხადებია იარაღის მიცემაზე, მაგრამ იმის ცოლს შეშინებია და უცნობთათვის ერთი თოფი გადაუცია. ამის შემდეგ გასულა ხანი და ამირაჯიბის საბძლისთვის ვიღაცებს ცეცხლი წაუკიდებიათ. ამით ამირაჯიბი გამწარებულა და მახლობელ სოფლებში ეკზეკუცია ჩაუყენებია. 1905 წ. 12 მაისს, როცა ამირაჯიბი სოფლის მასწავლებელ ბადრიძესთან იმყოფებოდა თურმე, მასთან ხუთი შეიარაღებული კაცი შესულა და იარაღები მოუთხოვიათ. ამირაჯიბს განუცხადებია უცნობთათვის, იარაღი რაც მქონდა უკვე მოგეცით, მეტი არა დამრჩა-რაო. უცნობთ ეს არ დაუჯერებიათ და ბოლოს საქმე იმით გათავებულა, რომ ამირაჯიბი იქვე მოუკლავთ. ამირაჯიბის მოკვლას ზემოხსენებულ პირთ აბრალებდენ. თფილისის ოლქის სასამართლოს სესიას დამნაშავეთ უცვნია ზემოხსენებული პირნი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლებათა ჩამორთმევა და კატორღაში 10 წლით გაგზავნა.

◆ გუშინ წინ პოლიციამ ოლგის ქუჩაზე გაჩხრიკა მუშაიარეთა თავშესაფარი. როგორც გავიგეთ, ვერაფერი „საწინააღმდეგო“ ვერ აღმოუჩენიათ.

◆ გუშინ-წინ, ნაშუადღევის 3 საათზე სალდათის ბაზარში მოკლეს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ბუხგალტერი ა. მ. კატანიანცი.

◆ თფილისის ნოქართა საზოგადოების თავმჯდომარემ შუამდგომლობა აღძრა გახსნას თფილისში ნოქართათვის სავაჭრო სასწავლებელი. ახლო მომავალში ამ საგნის შესახებ ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება მოხდება.

◆ ძველ-სენაკიდან (სამეგრელოშია) გვატყობინებენ, რომ იქ 1 მაისს დაუწვავთ დეკანოზ სვიმონ ქავთარაძის სახლი. ქავთარაძის შვილებს სამეგრელოში პროპაგანდას აბრალებენ.

◆ ხვალ, 6 მაისს, თფილისის საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრება ახალქალაქში და აქიდან ახალ-ციხეში. ახალქალაქში სხდომები დაიწყება 8 მაისს და 13 მაისამდე გაგრძელდება, ახალ-ციხეში კი 15-დან 19 მაისამდე დარჩება.

◆ თფილისის საოლქო სასამართლოს ამ დღეებში გადაეცა განსახილველათ საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრების არშაკ ნაზაროვისა და ხაჩატურ ქოჩორიანცის, რომელთაც წინეთ განზრახულ მიზნით 5 იანვარს 1906 წლისა საერობო დარაჯის თეოდორე დიმიტრუხის მოკვლა ბრალდებათ. დიმიტრუხი უცნობთ ს. შულავერში მოუკლავთ, ბერდენის თოფი და პატრონების ბუდე გაუტაცნიათ და მიმალულან.

◆ 1 მაისს, საღამოს 9 საათზე, მექქსე საპოლიციო ნაწილში, სურფ-სარქისის ქუჩაზე, ვიღაც უცნობმა ბებუთით მოკლა ამავე უბნის უფროსი მეეზოვე. მკვლელი მიიმალა.

◆ 2 მაისს საღამოს 9 საათზე ბაგრატიონის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა სასიკვდილოთ დასჭრეს სიღნაღის მაზრის ს. ბოდბისხევის მცხოვრები იოსებ ზურაბაშვილი, რომელიც ნოქრათ მსახურებდა ადამოვის მაღაზიაში. პოლიციამ შემთხვევით დაიჭირა ერთი კაცი, რომელიც ქ. ქუთაისის მოქალაქე ალ. ქავთარაძე აღმოჩნდა: ქავთარაძე დანაშაულში გამოტყდა. იგი მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

—

**შეცდომის გასწორება**: „ლამპარი“-ს გუშინდელ №-ში ფელეტონის მეოთხე სვეტში შეცდომა გაგვეპარა. დაბეჭდილი არის: „მარჯანიშვილმა, რომელსაც ხმა არ ქონდა, ჩააგდო ფედერალისტების ბიულეტენი“. უნდა იყოს: „მარჯანიშვილს, რომელსაც ხმა არ ქონდა, უნდოდა ჩაეგდო ფედერალისტების ბიულეტენი“.

## ადგილობრივი პრესა.

რა და რა ჯურის წერილები არ გინდათ რომ არ იპოვებოდეს დღევანდელ პრესაში. ვისაც კი თავში გაუჩურჩუნებს რაიმე აზრი, უმალვე მირბის ამა თუ იმ ბურჟუაზიულ გაზეთის რედაქციაში, რათა ქვეყნიერებას შეატყობინოს თავისი სიბრძნე. რამდენათაც ეს სიბრძნე უცნაურია, იმდენათ მეტი გასავალი აქვს ბურჟუაზიულ პრესაში. ასე მაგ. გაზ. „კავკ. მისლ“-ში (№ 31) დაბეჭდილია ერთი მეტათ ახირებული წერილი ვიღაც ნ. ხ—ოვისა. ეს ბატონი ეკამათება (პოლემიკა ეხლა მოდაშია) ს.-ფედერალისტებს და, რა თქმა უნდა, არც სოც.-დემოკრატებს ივიწყებს.

ბ-ნი ნ. ხ—ოვი უწინარეს ყოვლისა, მიწასთან ასწორებს ს.-ფედერალისტებს, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, სრულიად უსამართლოთ: და ამ შემთხვევაში, არ შეგვიძლიან არ გამოვესარჩლოთ ჩვენს დაჩაგრულ მოწინააღმდეგეებს. ბ. ხ—ოვი იმდენათ მკაცრი მატერიალისტ-ფილოსოფოსია, რომ აცხადებს: ერი, ეროვნული, ისე როგორც კლასიც და კლასობრივი, მხოლოდ ფიქციაა, მოჩვენება და ცხოვრებაში არავითარ რეალურს, ნამდვილს არ შეესაბამებაო (მარტო ამ პარადოქსალობას (უცნაურობისათვის) ღირდა, რომ ბ. ხ—ოვს თავისი აზრები გამოექვეყნებინა!) აქედან წარმოიდგენთ, რომ კრიტიკოსი კარგ დღეს არ დააყრიდა ავტონომისტებს.

ბ-ნ ნ. ხ—ოვის აზრით, როდესაც ხელნი ფედერალისტები ითხოვენ ავტონომიას, ამით ისინი ესწრაფიან თითქმის დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის დროინდელ საქართველოს აღდგენას. როგორც ხედავთ კრიტიკოსს ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა ქონია ს.-ფედერალისტებზე. ამათ, რასაკვირველია არც იმდენი გულისთობა შესწევთ, რომ ერთბაშათ დასწვან რამდენიმე საუკუნის კულტურული განვითარება და ჩვენი ქვეყანა ერთის ხელის წამოკვრით ისტორიის შორეულ წარსულში გადასტყორცნონ. ბ-ნ ხ—ოვს კი ამის სერიოზულათ შეშინებია და ამიტომ იგი აფრთხილებს ს.-ფედერალისტებს: უწინდელ დროში—ამბობს იგი—საქართველოს უფრო ფართე და უნაკლულო ავტონომია ჰქონდა, მარა განა იმ დროში „ბედნიერი იყო ქართველი ადამიანი? არა მგონია ვინმე გაკადნიერდეს და სთქვას „ჰო“!.. და აი, მიუხედავათ ისტორიის გაკვეთილებისა, ჩვენი ინტელიგენცია კვლავ ცდილობს აღადგინოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ძველი ფორმები, მას უნდა განთავისუფლებული პიროვნება ჩაჭედოს ძველ ვიწრო ჩარჩოებში, და აცხოვროს ძველ შაბლონების მიხედვით“. ბ-ნ ხ—ოვის აზრით ს.-ფედერალისტებს ასეთი მარცხი იმიტომ ემართებათ, რომ „იმათ ფიქრისა და ზრახვის საგანს არ შეადგენს ადამიანის პიროვნება და მისი საჭიროება, „ინტერესები“. აი ხათაბალა! ს.-ფედერალისტების უბედურება სწორეთ იმაშია, რომ იგინი ყველა თავის მიზნებს, პლანებს და იდეალებს აყალიბებენ ადამიანის პიროვნების და მის საჭიროების მიხედვით, და რადგან განყენებული პიროვნება არ არსებობს, ისინი ყველაფრის საზომათ იღებენ თავის საკუთარ (ს.-ფედერალისტის) პიროვნებას, ამიტომაც არის, რომ ისინი ტკბილ ოცნებაში დასრიალებენ. ბ-ნი ნ. ხ—ოვი კი ს.-ფედერალისტებს სწორეთ იმ მაქსტურას აწვდის, რომლითაც ისინი ისედაც გაჭყორპილნი არიან.

ბ-ნი ხ—ოვი უფრო კიდევ ახირებულია, როდესაც მაჯას უსინჯავს სოც.-დემოკრატებს. „ამ პარტიის სამლოცველო კერპია—აცხადებს იგი—მუშა, მაგრამ უბრალო მუშა კი არა, არამედ დაქირავებული, დღიური მუშა პროლეტარი, სხვები იმასთვის არ არსებობენ; სხვებს ორ-ფეხოვან არსებათა უმრავლესობას არ აქვს უფლება არსებობისა; ესენი ან უნდა „გამოიხარშნენ ფაბრიკის ქვაბში“ და ან აღიგვონ პირისაგან

## ფელეტონი

### სალამი ამხანაგებს

(გადახვეწილის სალამი)

შორს მყოფი თქვენი რაზმელი,
გულით მოგიძღვნით სალამსა,
გამარჯვებულსამც გხედავდე
თქვენს დროშას, თქვენსა ალამსა!..
დიდხანს ვიყავი ბნელაში,
გული ტანჯვებმა დასერა,
მხნე „მოგზაურმა“, ბედადმა
ხალხის ცხოვრება ასწერა...
„სხივმა“ დაიწყო ციმციმი,
დახია ბნელის ზეწარი,
გაიხმო საბრძოლ გეზზედა
ბედკრულ-ბეჩავი დღე-მწარი...
ზედ „განთიადმა“-ც მოგვისწრო
გზა-კვალის გასანათებლათ,
დევნილთა შორის ძმობის და
ერთობის დასამყარებლათ...
„ელვამ“ იელვა, იჭექა,
ქუხილი ატეხა ცაზედა,
და ტანჯულთ გულის წყლულები
გაფანტა ქვეყანაზედა...
მაგრამ ისიც მსწრაფლ გაქრა,
ისევ დაგვტოვა მწუხარე,
ეხლა სანაცვლოთ აღგვენთო
ბნელში მყოფთ მნათი „ლამპარი“...
დაფრთხენ ბნელეთის ძალები,
მოძებნეს თავთა ხარისი,
შავ ბნელათ გადაქცეულათ,
თვის დღენი გასახარისი...
შეირყა ძველი ქვეყანა,
ინგრევა, დღე-დღე მტვერდება,
და ნანგრევებზე ჩაგრულთა
ალთქმის ქვეყანა შენდება...
მხნედ ამხანაგნო, შემოკრბით,
ხელი ხელს მივცეთ, გული გულს,
რომ მივახწიოთ ჩვენს მიზანს
ჩაგრულ ხალხისთვის დასახულს...
შორს მყოფი, თქვენი რაზმელი,
გულით მოგიძღვნის სალამსა,
გამარჯვებულსამც გხედავდე
თქვენს დროშას, თქვენსა ალამსა!

იზიძე

## სალიტერატურო მიმოხილვა

—

დახურულ „რუს. ბოგატსტვო“-ს მაგივრათ გამოვიდა ჟურნალი „სოვრემენნოსტ“-ი. თანამშრომელნი ისევ წინანდელები დარჩენ და, რასაკვირველია, ჟურნალის მიმართულებაც ისევ წინანდელურია. ამ ჟურნალის თანამშრომელთა ჯგუფი ე. წ. „სოციალ-ნაროდნიკების“, იმავ „ესერების“ პროგრამის მიმდევარია. უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ბ. პეშეხონოვის წერილი, რომელშიაც ავტორი დაწვრილებით გვაცნობს იმ საზოგადოებრივ ფილოსოფიას, რომელზედაც დაფუძნებულია „სოც.-ნაროდნიკების“ პროგრამა. ეს წერილი დიდათ საყურადღებოა, რადგან მასში ნათლათ, მთლიანათ და საკვირველის პირდაპირობით არის ახსნილი პარტიის თვალთა ხედვის წერტილი, მისნი რწმენანი და ლტოლვილებანი, ამ წერილშია დახატული პარტიის მთელი ბუნება, და ჩვენ შეძლება გვეძლევა უფრო ახლო გავიცნოთ პარტია, დღის სინათლეზე გავშინჯოთ მისი უპირბადო სახე.

ბ. პეშეხონოვი ძლიერ ოპტიმისტურ თვალით უყურებს თავის პარტიის აწმყოს და მომავალს: „ჩვენ შეგვიძლიან გულდამშვიდებით ვუცქიროთ ჩვენ პარტიის ბედს“, ამბობს იგი: „რომ მას სიცოცხლე შეუძლიან, ეს რუსეთის საზოგადოების წარსულმა კიდეც დაამტკიცა... არა ნაკლებ თვალსაჩინოა მისი წარმატება ცხოვრებაში: იყო დრო, როცა ჩვენი პარტიით მხოლოდ რამდენიმე მოაზრე პირი იყო გატაცებული, ეხლა მან მასსაშიც მოიპოვა გავლენა.“ ამნაირი წარმატება პარტიისა, რასაკვირველია, იმით აიხსნება, რომ მის თვალთა ხედვის წერტილი სწორეთ არის არჩეული, რომ ის სწორ გზას ადგია, რომ მისი საზოგადოებრივი ფილოსოფია ვარგებულია; გავიცნოთ ეს თვალთა ხედვის ისარი, ეს გზა და ეს ფილოსოფია.

I

ის ცენტრი, რომლისკენაც მიდის ესერების ყოველი მსჯელობა, ის პრინციპი, რომელიც მათ ყოველ მსჯელობას სათავეში უდევს—არის ადამიანის პიროვნება. პიროვნებას ისინი ანაცვალებენ ყველაფერს; პიროვნების ბედნიერებისკენ უნდა იყოს, მათის აზრით, მიმართული ყოველი ფიქრი, ყოველი საქმე კაცისა; პიროვნების ინტერესების თანახმათ უნდა წყდებოდეს ყოველი საზოგადოებრივი საკითხი. პიროვნება ყოველთვის მიზნათ უნდა გვიხადოთ და არასოდეს სხვა რამ მიზნის საშუალებათ.

ესეთია ის პრინციპი, რომლიდანაც გამომდინარეობს ესერების მსჯელობა. ეს პრინციპი თავისთავათ, რასაკვირველია, მშვენიერია: არა მგონია, გამოჩნდეს კაცი, რომ ამ პრინციპს უარყოფდეს. მაგრამ სწორეთ იმიტომ, რომ ეს პრინციპი ყველასათვის ცხადია, სწორეთ იმიტომ, რომ ეს პრინციპი თავის თავათ იგულისხმება, სწორეთ იმიტომ, რომ მას ვერც ერთი ადამიანი ვერ უარყოფს, სწორეთ მაგიტომ ეს პრინციპი გადაიქცა ბანალურ ფრაზათ, რომლიდანაც ყოველ კაცს შეუძლიან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომელიც მას მოსწონს. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ამ პრინციპს სათავეში უყენებენ თავის ეთიკურ თეორიებს თითქმის ყველა ბურჟუაზიული ფილოსოფოსები: ეს პრინციპი სათავეში უდევს კანტის ეთიკურ მოძღვრებას, ამ პრინციპზეა აშენებული მილლის ეთიკა, ამ პრინციპზე დაამყარა სპენსერმა მთელი თავისი სწავლა „სამართლიანობის“ შესახებ. მაგრამ ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ ამ ფილოსოფოსებს სოციალიზმთან საერთო არა ქონიათ რა და, მაგ., სპენსერი მთელ თავის ბუმბერაზ ნიჭს სოციალიზმთან ბრძოლას ანდომებდა. სჩანს, პიროვნების სუვერენიტეტის აღიარება თავის თავათ არაფერს ამბობს მის აღმიარებელის სოციალისტობაზე და ესერები ხომ თავის თავს მიუცილებელ სოციალისტებათ თვლიან.

განყენებულ პიროვნების სუვერენობის აღიარება არაფერს ნიშნავს. საქმე ის არის, ვისი პიროვნების დაცვა გინდათ და როგორ გინდათ დაიცვათ პიროვნება?

ეს კარგათ ესმის ბ-ნ პეშეხონოვს და განყენებულ პიროვნების მაგივრათ გვითითებს უფრო კონკრეტულ არსებაზე—ხალხზე. „ხალხი არის მშრომელ პიროვნებათა კრებული“! ბ-ნ პეშეხონოვის პროგრამა ყველა მშრომელის ინტერესებს იცავს: „ჩვენ პროგრამას არა აქვს სახეში რომელიმე კლასის ან წოდების სარგებლობა; იგი არ მიილტვის რომელიმე კლასის დიქტატურისკენ; მისთვის თანაბრათ ძვირფასია სარგებლობა პროლეტარიატისაც და გლეხებისაც, შავ მუშისაც და ინტელიგენტ მუშაკისაც; ყოველ მათგანის სურვილს იგი ერთნაირის პატივისცემით ეპყრობა“ ბ-ნი პეშეხონოვი, როგორც ამ სიტყვებიდან ვხედავთ, არა მდგარა რომელიმე კლასის მხარეზე: იგი ერთ და იმავე დროს სამ კლასის სარგებლობას იცავს: ინტელიგენციის, გლეხობის და პროლეტარიატის. მას არ მოსწონს ერთ რომელიმე კლასის ამორჩევა: „ყოველ კლასს სურვილი აქვს მხოლოდ თავისი სარგებლობა დაიცვას და სხვა, თუნდა ახლო კლასების, სარგებლობას ყურადღება არ მიაქციოს და ზოგჯერ მის საზარალოთაც კი იმოქმედოს“.

ყველა ეს კარგი და პატიოსანი; ესეთი „ვრცელი“ პროგრამა „ესერების“ დიდ გულკეთილობის მაჩვენებელია. მათ არ ნდომებიათ არც ერთ კლასს აწყენინონ; ყველა კლასს გასწვდება მათი მოწყალება. კარგია ეს, მანამ ამ სამი კლასის ინტერესები ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ვთქვათ ესეთი წინააღმდეგობა დაიწყო? ვთქვათ, დაიბადა ისეთი კითხვა, რომელიც გლეხობისაგან თხოულობს ერთნაირ გადაწყვეტას, ინტელიგენციისაგან—მეორენაირს, პროლეტარიატისაგან—მესამენაირს. მაშინ ვის სარგებლობას არჩევთ? ვის დაუჭერთ მხარს? რომელი კლასის ინტერესებს არჩევთ? თქვენი სამართლიანობა რომ ვიცით, უეჭველია, საქმეს ხმის უმეტესობით გადაჭრით: ხმას დათვლით და რასაც მშრომელ ხალხის უმეტესობა იტყვის, იმ გზას დაადგებით. ან იქნება ბრძანოთ, პროლეტარიატის, როგორც კლასის, ინტერესები არ შეიძლება გლეხობის, როგორც კლასის, ინტერესებს ეწინააღმდეგებოდესო. მართალია, რუსეთში ეს წინააღმდეგობა ისე თვალსაჩინო არ არის, რადგან რუსეთის გლეხობა ჯერ კიდევ ნახევრათ ფეოდალურ პირობებში ცხოვრობს, რუსეთის გლეხობაში ფულს ჯერ კიდევ ფეხი ვერ გაუდგამს და მთელი ცხოვრება არ დაუმორჩილებია. მაგრამ ავილოთ სხვა ქვეყანა, ავილოთ ისეთი მხარე, რომელსაც ნატურალურ მეურნეობისთვის კიდეც აქვს თავი დახწეული, ისეთი მხარე, რომლის მდგომარეობა რუსეთს მომავალში არ უნდა ასცდეს. ავილოთ შვეიცარია—წვრილფეხა გლეხების ქვეყანა. უმეტესობა იქ თავის ოფლით მუშაობს, თავის ოფლით მოყავს მიწის ნაყოფი, თავის ოფლით აშენებს საქონელს, თავის ოფლით წველს ძროხას, თავის ოფლით აკეთებს ერბოს, ყველს. მაგრამ ყველა ამ პურს, ღვინოს, საქონელს, ერბოს, ყველს გლეხი იმიტომ კი არ აკეთებს, რომ თითონ ჭამოს, როგორც ჯერ კიდევ ვხედავთ რუსეთის ბევრ ალაგებში. არა, ყველა ეს საგნები ბაზრისთვის არის მომზადებული, ყველაფერი ეს უნდა გაიყიდოს; გლეხი შვეიცარიაში გადიქცა წვრილ ვაჭრუკანათ. ესევე ბედი მოელის რუსეთის გლეხკაცობასაც. გლეხკაცობა უნდა გადიქცეს წვრილ ვაჭრუკების კლასათ. ვაჭარ-გლეხს უმეტეს ნაწილათ ისეთი საქონელი აქვს, რომელიც სიცოცხლისათვის პირველ საჭიროებას შეადგენს: პური, ღვინო, ყველი, ერბო და სხ. ამ საქონლის მყიდველი უმეტეს ნაწილათ პროლეტარიატია. მაშასადამე, მომავალში რუსეთის გლეხთა კლასი უნდა დაუპირდაპირდეს პროლეტართა კლასს, როგორც ვაჭრების კლასი უპირდაპირდება მყიდველთა კლასს; ამ ორ კლასის სარგებლობა ერთმანეთს უარყოფს: ერთ კლასს უნდა ყველაფერი ძვირათ გაყიდოს, მეორეს უნდა ყველაფერი იაფათ იყიდოს. ამ ორ კლასის ძირითად წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს ბევრნაირი კერძო წინააღმდეგობა პოლიტიკაში.

ავილოთ უბრალო მაგალითი. ვთქვათ პარლამენტში ჩამოვარდა ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებაზე. სოფლის მეურნეები, როგორც წვრილები, ისევე მსხვილები, დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მათი ნაწარმოები რაც შეიძლება ძვირათ იყიდებოდეს. მაგრამ უცხო ქვეყნების კონკურენცია მათ საქონელს აიაფებს და, მაშასადამე, ისინი მოხარული იქნებიან, თუ როგორმე განთავისუფლდებიან უცხოეთის კონკურენციისაგან, მაშა-

ქვეყანისო. წვრილი გლეხობა, ხელოსნები, გადატაკებული ინტელიგენცია და „ბოსიაკები“ რამე თუ ამხანაგურ მოპყრობას, ლმობიერებასაც ვერ პოულობენ სოციალდემოკრატიისაგან... წვრილ ხალხზე მზრუნველობა სოც.-დემოკრატიას თავის ღირსების დამამცირებლათ მიაჩნია“.

როგორც ჰხედავთ ბ-ნი ნ. ხ—ოვი რაღაც არქეოლოგიური სიძველე უნდა იყოს, ის სადღაც ხაროში მჯდარა, თორემ დღის სინათლეზე რო ყოფილიყო, მას შორეულათ მაინც გაგონილი ექნებოდა რამე სოც.-დემოკრატიის მოქმედებაზე, მას ჩვენი ლიტერატურის ნახევარი ფურცელი მაინც ექნებოდა წაკითხული და მაშინ იგი აღარც ზემოხსენებულ სისულელეს მოჩმახავდა.

მაგრამ ბ-ნი ხ—ოვი მაინც ერთობ ნაზი და კეთილშობილი ადამიანი ყოფილა. იგი წერილის დასასრულ აცხადებს თავის იდეალს: „ყველასაგან ნიჭიერების დაკვალათ, ყველასათვის მოთხოვნილებათა დაკვალით!“ ეს ანარქისტების პრინციპია, ბ-ნი ხ—ოვი ალბათ „ახალ მიმართულების“ კაცი ყოფილა.

„ახალ მიმართულების“ მეტრეველი გაზ. „ნობათი“ ანარქისტების იდეალის განსახორციელებლათ საჭიროთ სთვლის, რომ უწინარეს ყოვლისა დანგრეულ იქნას... სოციალდემოკრატიული პარტია და გაზეთიც ყოველ ნომერში „ანგრევს“ ამ პარტიას; თუმცა, იმავე ნობათისტების სიტყვით, სოციალდემოკრატია უკვე დანგრეულ-დამარცხებული ყოფილა. გაზეთი არკვევს ამის მიზეზებს უკანასკნელ ნომერში (იხ. „სოციალდემოკრატიის კრიზისი“).

გაზეთი ამბობს, რომ სოც.-დემოკრატიის დამარცხება ოქტომბერ-ნოემბერში პირველად კადეტებმა აღნიშნეს: „კონსტ.-დემოკრატიის აზრით ეხლა სოციალიზმის ხსენების დროც არ არის, მისი აზრით ყველანი მას, ე. ი. კ.-დ.-ის პარტიას უნდა მიემხრონ. სოც.-დემ. კი ოქტომბერ-ნოემბერში თავის გზით აპირებდა სვლას. ამ შეცდომას ეხლა, რასაკვირველია, რუსეთის სოც.-დემ.—გ. პლეხანოვისა და ეგრედ წოდებულ „უმცირესობის“ წარმომადგენელთა ხელგაშლენით უარჰყოფს და ადგება იმ გზას, რომელზედაც მას კონსტ.-დემოკ. პარტიამ უჩვენა“. შემდეგ, გაზეთი „ნობათი“ თვითონვე უარჰყოფს თავის ნათქვამს, რომ სოც.-დემოკრატია დღეს ადგება კონ.-დემ. გზას, ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რეფორმის გზას და ამბობს: „რაღაც ოცი წლის განმავლობაში (სოც.-დემ.) უქადაგებდა მას (პროლეტარიატს) სოციალიზმის სახელით ბურჟუა-დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელებას“.

საცოდავ „ნობათის“ ანარქისტებს თურმე „შეძლებაც არ აქვთ გაარჩიონ სად თავდება კონსტიტუციონალ დემოკრატიზმი და სად იწყება სოციალ-დემოკრატიზმი“ *). „ნობათისტები“ თურმე გონებას ისეთ უნუგეშო მდგომარეობაშია არიან, რომ „თავიც რომ იმტვრიონ, მაინც ვერ ნახავენ პრინციპიალურ განსხვავებას სოციალდემოკრატიულ და კონსტ.-დემოკრატიულ პროგრამათა შორის. მათ შორის არსებული განსხვავება მხოლოდ რაოდენობითია და არა ღირსებითი“. ანარქისტებს რომ ერთობ მაგარი შუბლი არა ქონდენ, ისინი ადვილათ დაინახავდენ, რომ ყოველი რაოდენობითი განსხვავება განსაზღვრულ წერტილზე ხდება ღირსებით, პრინციპიალურ განსხვავებათ. ასე მ. გ. პიროვნების იმ თავისუფლებასა, რასაც ესწრაფის ანარქისტი, და იმ პატარა თავისუფლებას შორის რასაც იძლევა დემოკრატიული კონსტიტუცია განსხვავება ცხადია, რაოდენობითია, მაგრამ ამასთანავე ანარქისტი ვერ იტყვის, რომ ეს განსხვავება არ იყოს პრინციპიალური და ღირსებითი. ანუ კიდევ: დღევანდელ წარმოების პირობებში მუშა იღებს თავის ნაშრომის მხოლოდ მცირე ნაწილს, სოციალისტური წარმოება მუშას მისცემს შრომის მთელ ნაყოფს; მუშის მდგომარეობა განსხვავებული იქნება ღირსებითათ, პრინციპიალურათ, მაგრამ ეს განსხვავება იმავე დროს რაოდენობითია (ერთ შემთხვევაში მუშა იღებს ნაწილს, მეორეში მთელს).

ამ უბრალო აზრის გაგება ანარქისტებს მაინც ვერ მოუხერხებიათ, რადგან მათ მხოლოდ ერთი რამ ესაჭიროებათ, რომ დაამტკიცონ. სახელდობ ის, რომ „ხალხი მხოლოდ სოციალიზმისათვის მიყვებოდა სოციალდემოკრატიას, და რაკი მოქმედების დრო, როცა მოვიდა, სოციალდემოკრატიის სოციალიზმი მოჩვენება გამოჩნდა (ესე იგი სოციალდემოკრატიამ აღიარა, რომ საერო დამფუძნებელ კრების საშუალებით, რომელიც დღეს-ხვალ უნდა იქნას მოწვეული, იგი სრულებითაც არ ფიქრობს სოციალიზმის განხორციელებას); აი ამიტომ ის (ე. ი. ხალხი) შეკრთა და აქეთ-იქით გაფაციცებით ეძებს თავის მანუგეშეს“ (ანარქიზმს), რომელსაც თურმე ხელში უჭირავს თილისმა 24 საათში განახორციელოს „იდეალი სოციალიზმისა...“ აფერუმ!

გაზ. „ივერიის“ ვიღაც რაველს კიდევ სულ სხვა თილისმა ჰქონია ხალხის გასაბედნიერებლათ. ეს ვაჟბატონი აცხადებს, რომ ხალხი შორდება სოციალდემოკრატიას იმის გამო, რომ სოც.-დემოკრატია მხოლოდ სოციალისტური იდეალის განხორციელებას მისჩერებია და სრულიად ივიწყებს ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რეფორმებს. „იდეალის გულისთვის კი,—სწერს იგი *),— ხალხი არ იბრძვის, ხალხი ამხედრებს და აერთიანებს მისი ყოველ-დღიური ცხოვრების სხვა და სხვა საჭიროება... თვითონ სოციალისტი, კერძო საკუთრების მტერი, იგი იბრძვის კერძო საკუთრების საშველელათ“... (კიდევ აფერუმ!) ვაჟბატონი კიდევ ასაბუთებს თავის აზრს: „რამდენათ ესა თუ ის ჯგუფი თავის პროგრამის „მაქსიმუმს“ ეპოტინება, იგი სექტანტობას ეწევა.,, „მრწამსში“ („პროგრამა მაქსიმუმში“ იდეალში) ადამიანის ზნეობრივ მოქმედების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, განყენებული, თეორიული, იდეალისტური მცნება“. როგორცა ხედავთ ეს ვაჟბატონიც თავისებური „ანარქისტი“ ყოფილა. მისი ქადაგება ძალიან წააგავს ცნობილ ზუბატოვშჩინას.

ამგვარათ ჩვენ განვიხილეთ სამი ჭკუის კოლოფის წერილი. „კავკ. მისლ“-ის ანარქისტი ებრძვის სოციალდემოკრატიას იმის გამო, რომ ეს წვრილ ხალხს ყურადღებას არ აქცევს, არ იცავს ბურ. დემოკრატიულ რეფორმებს; „ნობათის ანარქისტები“ პირიქით გვებრძვიან იმის გამო. რომ, ვითომ ჩვენი პარტია დემოკრატიას არა ცილდება და სოციალიზმზე ხელი აუღია. „ივერიის“ „ანარქისტი“ კი გვისაყვედურებს თქვენ სოციალიზმს არა ცილდებითო, დემოკრატიაზე ხელი აგიღიათო. ასე სხვა და სხვა ხმაზე წკავ-წკავებენ ჩვენი კრიტიკოსები. ასეთია მათი... კონცერტი!

—

„კაიწ“-ის მეცხრე ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი ადელხანოვის ქარხნის ერთ ჯგუფ მუშებისა:

„გაგონილი გექნებათ ზღაპარი იმ მგლის შესახებ, რომელმაც სცადა ცხვრების გამოსტუმრებლათ კაცსავით გაიცინო, მაგრამ ფონს ვერ გავიდა, რადგან ცხვრებმა შეამჩნიეს წინ [illegible] დღეის წინ და არ მოსტყუვდენ. სწორეთ ასეთი მგლის ტაქტიკით მოქმედობს დღეს „დაშნაკცუტიუნი“ მუშებში; იმ ადგილებში, სადაც მრეწველობა ჯერ ძველ ფორმებს არ გასცილებია და მუშებში არ არსებობს მტკიცე კავშირი, როგორც ეს სამრეწველო ქალაქებშია, ეს პარტია იქ წარმოადგენს „შოვინისტურს (ეს სიტყვა ეკუთვნის ერთს მათ შეფს) და როცა ჩარჩ ხაზეინებისგან გაპარტახებულ-გაყვლეფილი მცირერიცხოვანი მუშები მიმართვენ გაფიცვას თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ,—იქ დაშნაკცუტიუნის კომიტეტი ადგას არტყამს მათ „ფიდაიებით“ (დაშნაკცაკანების მედრუჟინე) და კომბლების საშუალებით აიძულებს შეწყვიტონ გაფიცვა (ალექსანდროპოლში).

აგრე არ იქცევა დაშნაკცუტიუნი ჩვენთან, თფილისში და, საზოგადოთ იმ ადგილებში, სადაც მუშები შეკავშირებულნი არიან და მოწიფებულნი კლასობრივ შეგნებით. ის კარგათ გრძნობს, რომ სომეხი მუშა ხალხიც ამისთანა ადგილებში ჩაერევა საერთო ფერხულში, შემოიკრიბება ერთ საერთო პარტიის გარშემო და შეადგენს ერთ ერს, ერს პროლეტარიატისას, ხოლო დაშნაკცუტიუნი, როგორც ნაციონალურ-ბურჟუაზიული პარტია, ყოველ საშუალებას ხმარობს, რომ თავის რაზმებში შეინარჩუნოს ერის უველა წევრები—ტერტერა, დიაკვანი, ხაზეინი თუ მუშა... მაგრამ სომეხი მუშა ხალხი მოხსენებულ ცენტრებში სხვა მუშა ამხანაგებთან ერთათ გადადგა წინ ეკონომიურ მოთხოვნებში რ. ს.-დ. მ. პ. ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. მაგალითათ, ერთი წლის წინეთ ადელხანოვის ქარხნის მუშებმა შემდეგი მოთხოვნები წამოუყენეს თავიანთ ხაზეინს: 1) სამკურნალოს დაარსება, 2) ელემენტარული სასწავლებელი; 3) ჯამაგირების მომატება და სხვა... მოთხოვნები ასრულებულია, სასწავლებელი მზათაა უკვე, მზათაა სამკურნალოც, წამლობის ფულს იღებს ხაზეინი, ვიდრე სულ დამთავრდება სამკურნალო, რომელიც გაიხსნება მახლობელ დღეებში. აი „დაშნაკც.“ სარგებლობს ამ გარემოებით და მუშების იმ ნაწილის თვალების ასახვევათ, რომელიც მის გავლენის ქვეშ იმყოფება, უშვებს ფურცელს სადაც, აცხადებს სწორეთ იმ მოთხოვნას, რომელიც უმათოთაც უკვე სცაა ასრულებული იქნება. გეკითხებით, ამხანაგო მუშებო, რა არის ეს საქციელი, თუ არა თვალთმაქცობა?..

„კაიწ“-ის იმავე ნომერში მოთავსებულია „არშალუის“-ის ასოთ-ამწყობთა წერილი ხსენებულ გაზეთის რედაქტორის მიმართ, რომელშიაც სწერენ:

თქვენი გაზეთის დასურვის შემდეგ ჩვენ ქუჩაში დავრჩით ანგარიშის გაუსწორებლათ. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ბევრჯერ მოგმართეთ თხოვნით გაგვესწორებიათ ანგარიში, დღევანდლამდე თქვენ არ გვკმაყოფილებთ. ახლა პრესის საშუალებით გიწვევთ თქვენ სამედიატორო სასამართლოში.

„არშალ.“ ასოთ-ამწყობნი.



*) „პოლიტიკ. პარტია და სექტანტობა“, № 9.

## პროვინცია.

—

**კახეთი.** რამდენი ხანია შეწყდა სოფლათ „ერთობის“ ხმა „გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას“ ძახილი. ეხლა კი ისევ გაისმის ეს ხმები სოფლათ და ისევ უღვივებს გლეხს გულში ჩამქრალ ცეცხლს, უღვივებს შურის ძიების ცეცხლს.

არჩევნების წყალობით სოციალდემოკრატიული პროპაგანდა და აგიტაცია ფართოთ მოედო სოფელს. გლეხობა, ნამეტნავათ მისი პროლეტარული ნაწილი თავს იკრებავს სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ გლეხობაც ირაზმება პროლეტარიატთან ერთათ საბრძოლველათ. „ჩვენი მეგობარი პარტია სოციალდემოკრატია არისო“, გაიძახიან გლეხები. ამისთანა დროს, არჩევნებში მათი მიტოვება ნიშნავდა მათ ღალატს და სხვა ბურჟუაზიული პარტიების ხელში ჩაგდებას, როგორც ეს რუსეთში მოხდა.

კახეთში უკვე დაიწყო არჩევნები. გლეხებმა ჯერ აირჩიეს ათისთავები. მერე მთელი თელავის მაზრა ათ რაიონათ გაყვეს (თითო რაიონში 3—4 სოფელი) და თითო რაიონის ათის თავებს ორ-ორი რწმუნებული ამოარჩევიეს. სულ 26 რწმუნებული. ამათ უნდა 30 აპრილს აერჩიათ ორი ამომრჩეველი, მაგრამ არჩევნები გადაიდო 5 მაისისთვის. მომეტებული ნაწილი ამ რწმუნებულების სოციალდემოკრატები არიან, დანარჩენნი პარტიის გარეშენი.,. 27-ს იყო დანიშნული არჩევნები ქ. თელავში. აქაურ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას გადაწყვეტილი ქონდა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მართავდა წინასწარ კრებებს, აგიტაციებს, გამოსცა ფურცლებიც, რომელშიაც უხსნიდა ხალხს, სათათბიროს მნიშვნელობას, მის ღირსება ნაკლულოვანობას და იწვევდა ხალხს კენჭი მიეცათ სოციალდემოკრატიისთვის და ბოლოს სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაასახელა კიდე თავისი კანდიდატი—დანდუროვი (სომეხი). ჩვენი ფედერალისტები ამ დროს არა ჩანდენ, მაგრამ აი დადგა 25. მოახლოვდა არჩევნების დრო და ისინიც დაფაცურდენ. „არიქა სამშობლო იღუპება, სოციალდემოკრატები იმარჯვებენო“. გამართეს კრება და გადასწყვიტეს შეიკრას ბლოკი ყველა სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეთა და წამოეყენებიათ თავიანთი კანდიდატი. ერთ პატივცემულ ფედერალისტს ისიც კი ეთქო, რომ, თუ ვინიკობაა სხვას ვერას გავხდით, ის მაინც უთხრათ ხალხს, რომ სოციალდემოკრატების კანდიდატი სომეხია და ქართველების ინტერესებს არ დაიცავსო.

ამნაირათ გადაწყდა ყოველნაირი სახსარი ეხმარათ, რომ სოციალდემოკრატები დაემარცხებიათ. 26 საღამოს დაიწყო აქაურ ჩინოვნიკ-ბარიშნა-კლასნიდამებში მითქმა-მოთქმა, კრების შესახებ. თურმე, აქაურ „არა სოციალდემოკრატებს“ (უნდა აღვნიშნოთ რომ მოვაჭრე ნაწილი საზოგადოებისა სრულებით გულგრილათ ეკიდებოდა არჩევნების საქმეს) აღლოთ ნებართვა წინასწარ კრებისა და პოლიციაშივე დაენიშნათ.

კრებაზე ორი სოც.-დემ. დაესწრო, მაგრამ მათ სიტყვის ნება არავინ მისცა, ისე რომ იძულებულნი გახდენ კრება მიეტოვებინათ.

ამ კრებაზე რამდენიმე კაცს დაუდგეს ყუთი, სხვათა შორის ბ-ნ თავმჯდომარე კახიძესაც. ყველაზე მეტი ხმა ამოუვიდა ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახოვს (ავტონომისტი) და ამიტომ გადასწყვიტეს მისი კანდიდატურის წამოყენება. გათენდა 27. დილის ექვსი საათიდანვე თელავს მოედო აგენტები და ფედერალისტების სახელით ურჩევდენ ხალხს, აერჩიათ თ. ვახვახოვი.

ჩვენი მოწინააღმდეგენი თელავში არც კი ფიქრობდენ ჩვენთან პარტიულ ბრძოლაზე. მათ გადაიტანეს საკითხი ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ კანდიდატს ეხებოდენ, როგორც პიროვნებას, როგორც არა ქართველს და არა როგორც პარტიულ კაცს. ვწითლდებით იმათ მაგივრათ, ვერა ვბედავთ გაზეთის საშუალებით გამოვამჟღავნოთ ის სახსრები, რომლებიც იხმარეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა. ვერა ვბედავთ იმიტომ კი არა, რომ გვეშინიან. არა, იმიტომ რომ მათ საქციელს პროვოკაციის სუნი უდის.

დილის ათი საათი იქნებოდა, რომ დუქნები დაიკეტა და ხალხი ბაღში შეგროვდა. სოციალდემოკრატებმა გახსნეს მიტინგი. ილაპარაკა ორმა ორატორმა. მათ განუმარტეს ხალხს დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა და იწვევდენ ხალხს მიეცათ კენჭი სოციალდემოკრატისთვის. „ქართველო და სომეხო მუშებო! თქვენ არა გაქვთ არაფერი სადავო. თქვენ ძმები ხართ, ხოლო თქვენი ინტერესების დაცვა შეუძლიან სოციალდემოკრატს, ვინც უნდა იყოს იგი“, სთქვა ორატორმა. შემდეგ დაარიგეს დაბეჭდილი ფურცლები კანდიდატების გვარით. ქალაქში ხმა გავრცელდა ყაზახები შემოესევიან საარჩევნო ადგილსო. მოვაჭრეები შეშინებული გარბოდენ. 1600 კაციდან სულ 253 კაცი გამოცხადდა. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი (123 ხმა), დანდუროვმა მიიღო 110 ხმა. ერთი სიტყვით თელავში არა-სოციალდემოკრატებმა გაიმარჯვეს.

ეხლა თქვენ, ბ-ნო ფედერალისტებო, თქვენ რა უყავით თქვენი სოციალისტობა? ან იქნება იმაში გამოიჩინეთ, რომ ავტონომისტი აირჩიეთ, ან შეიძლება დროებით დაივიწყეთ სოციალისტობა? არა, ბატონებო, „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთ თქვენ“. ჩვენ ყოველთვის იმას გეუბნებოდით, რომ თქვენ სოციალისტობისა არა გცხიათ რა. თქვენ კი ჯავრობდით. ეხლა? ეხლა რაღას იტყვით? თქვენ შეუერთდით დემოკრატებს და ბიუროკრატებს სოციალისტების წინააღმდეგ. არა უშავს რა. ნუ გაწითლდებით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. „სულმა სული იცნოსო“.

თქვენ, ამხანაგო მუშებო, იცოდეთ რამდენი მტერი ყავს თქვენ პარტიას! იცოდეთ რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“ და მარტო სიტყვა „სოციალისტი“ ნუ შეგაცდენთ. ხომ დაინახეთ, რომ გაჭირვების დროს „სოც.“-ფედერალისტებმა თავი დაგანებეს და თქვენ და თქვენ პარტიას ბრძოლა გამოუცხადეს!

მოსული.

—

**ქ. სოხუმი.** როგორც მოსალოდნელი იყო, [illegible] ... თუმცა [illegible] ... ურმა მამებმა ჩამოარჩინეს სხვა კუთხის გულ-შემატკივართ. ჯერ გამოცხადებული წესები იქმნა გამოცხადებული და მერმე, დიდ მუდარის შემდეგ, სამხედრო წესების გამოცხადებაც ელოდნენ. თუმცა ჩვენს ქალაქში ყაზახები და არტილერისტები არ მოქმედებდენ, მაგრამ შეგვა სხვა ჯურის არტილერია, სახელდობრ შავი რაზმისა. ბ. შარვაშ თურქის მეთაურობით. ამ რაზმის შედგენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზოგიერთ ადგილობრივ ვაჭრებს და აფხაზ ოლქის უფროსს, ბატონ დ. ჯანდიერს. შავ რაზმს თან მოყვა ქურდობა და ძარცვა უდანაშაულო ხალხისა. უცხოვიან ახლო მახლო სოფლელებს სახლში და თუ რამე გააჩნიათ ერთიანათ იტაცებენ, სასიმინდეებიდან სიმინდს იღებენ და ცხენებს ათვლევინებენ ფეხქვეშ და სხვ. შეწიოლებენ გულხელ დაკრეფილი აფხაზ ოლქის უფროსს: „გვეშველეთ, დაგვარბიეს ბატონო თქვენმა სტრაჟნიკებმა და რამე გვიშველეთ“. ოლქის უფროსი უპასუხებს: ხომ გესმით გურიასა და იმერეთს რა დღე დაადგა მათი თავხედობისთვის, თქვენ ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ დაუწველათ და დაუხვრეტელათ გადარჩითო. ნეტა რა შედარებაა გურია იმერეთსა და ჩვენ შუა. ისინი იბრძოდენ განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის, ჩვენ კი ამ მოძრაობაში მცირედი წილი თუ გვიძევს. ამ რამდენიმე ხნის წინეთ ერთი შავ რაზმელთაგანი მოკლეს. ეს ვაჟბატონი თავის ბელადს დიდათ აწვალებდა სისასტიკეში. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს ამაზედ გაბრაზდა ბ. შარვაში და ფიცხლათ გამოაცხადა სოხუმის ქუჩებში თავისი შავი რაზმი, თოფით აღჭურვილი და მოთხოვა მთავრობას: თორმეტი საათის განმავლობაში ნახეთ მასთვის თავისი მეგობრის მკვლელი. მაგრამ ამაოთ ჩაიარა. ის ბატონი საწყალი, რომლის წყალობითაც შესდგა ეს რაზმი, ძალიან შეწუხდა. აფხაზის დეპუტაცია ოლქის უფროსთან: დაგვიხსენ და გვიშველე შარვაშისაგან. სანამ დეპუტაცია ოლქის უფროსთან მიდიოდა მანამდის შავრაზმელებმა დალეწეს ერთი სომხის ფარდული, რადგან ეგონათ, სომხებმა მოკლეს ხელი. სომხებმაც მიმართეს ოლქის უფროსს, ოლქის უფროსმა დიდი მოწყალებით მიიღო ეს ხალხი და დიდი რჩევების შემდეგ დაიბარა ბატონი შარვაში თავის რაზმით და ასწავლა მათში ექვსი კაცი და თითო თითო დაპატიმრება გადაწყვიტა. გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი.

მიიყვანეს ეს ვაჟბატონები სატუსაღოში თუ არა, მთელმა ტუსაღებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მათ. გაიგო ეს ოლქის უფროსმა რომ მათ რაზმელებს ტუსაღები მტრულის თვალით უყურებენო და უბრძანა პოლიციურ დამნაშავეებთან გადაეყვანათ. ახლა ბინაზედაც ზიილით შეხვ-

დენ ტუსაღებს, მაგრამ ერთმა პოლიტიკურ დამნაშავეთაგანმა, ვქალობა გუწია მათ და დაარწმუნა სხვები, რომ ეს მაგ-რაზმელები როდი არიან, ესენი ჩვენი ფედერალისტების რაზმის ბიჭებია და დიდი ლუწლიც მიუძღვით ხალხის წინაშე. საჭიროა ვიცოდეთ: მარტო სოხუმში უფრო ფედერალისტებს ასეთი რაზმი, თუ სხვაგანაც და თუ ეს ხალხის დამცველი რაზმია, მაშინ ალიხანოვ-კრილოვის რაზმს რაღა დაუშლის ამგვარივე სახელი დაირქვს?

სოხუმელი

## იურიდიულ საზოგადოებაში

(დასასრული. იხ. „ლამპ." № 13).

გ. გ ვ ა ზ ა ვ ა. არ არსებობს კავკასიის ეროვნება, როგორც არ არსებობს შავ ზღვისა, არაბეთისა და ასეთი გეოგრაფიულ სახელმწიფოების ეროვნებები. კავკასიის ერთა მოთავსება—მოკრება ერთ სახურავ ქვეშ შეუძლებელია. სხვათა შორის მოიყვანეს კანადის მაგალითიც. სულ სხვაფერაა საქმე კანადაში, იქ ხალხს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, ინგლისი მხოლოდ ლაშქრის საქმეში ერევა, ხოლო ტამოჟნისა, რეკრუტისა და ასეთი საქმეები ადგილობ. მთავრობის ხელშია, ასე რომ შედარება კანადასა და კავკასიის მომავალ მართვა-გამგეობის შუა შეუფერებელია. კავკასიის ავტონომიის დამცველნი სხვათა შორის იმ აზრითაც ხელმძღვანელობენ კავკასიის ავტონომიის დაცვის დროს, რომ კავკასიის ერებს ერთმანეთში ურთიერთობა აქვთ და საერთო საქმეც ბევრი აქვთ გასაკეთებელიო. კეთილი, მაგრამ რა საჭიროა ამისთვის ცალკე დაწესებულების შედგენა, განა ასეთ საქმეს სხვანაირათ ვერ მოაგვარებენ, თუნდა, მაგ., დელეგაციების საშუალებით და სხვა. წინა კრებაზე მე ვთქვი კულტურულ დასავლეთის დამორჩილება უკულტურო აღმოსავლეთისაგან ცოდო არის მეთქი. მართალია და კიდევ ვიმეორებ ამ აზრს. ზოგიერთმა ერმა კავკასიაში წინ გაუსწრო სხვა ერებს კულტურულათ და მათი ერთ დაწესებულებაში მოთავსება უკან დასწევდა კულტურის წინმსვლელობას. ვილაპარაკოთ მაგალითებით. ავიღოთ მუშათა ეკონომიური, უპირველესი სამართლიანი მოთხოვნა—რვა საათის სამუშაო დღე. კავკასიის სეიმში სომხების ბურჟუაზია მთელ თავის ძალ-ღონით შეებრძოლება მუშების მოთხოვნას, ქართველთა ბურჟუაზია კი ისე ღონიერი არ არის—და ამნაირათ ვერც წინაღუდგება მუშათა მოთხოვნას. ავიღოთ თუნდ ეკლესიის განცალკევება სკოლისაგან. საქართველოს პარლამენტში ეგ საკითხი სასურველათ გადაწყდება, რადგან ქართველებში ისეთი პარტია არ არსებობს, რომ თავის პროგრამაში ეკლესიის განცალკევების მოთხოვნა არ ეწეროს. გადავიტანოთ ეს საკითხი კავკასიის სეიმში. ეჭვი არაა, მუსულმანები არ დაუჭერენ მხარს ეკლესიის განცალკევებას ... მოიქცევიან ... ... ... აქვს გამჯდარი ფესვი კლერიკალიზმს,—ასე რომ ამ შემთხვევაში კავკასიის სეიმში ქართველები იტანჯებიან. ავიღოთ კიდევ ქალების საკითხი. არც ერთი მუსულმანი არ მოისურვებს თავის მეუღლეს ჩადრი მოხსნას და საზოგადო საქმეებში, მაგ. რევოლიუციონურ დემონსტრაციებში მონაწილეობა მიაღებინოს. ასევე მოიქცევიან სომხებიც. ამ ნაირათ ქართველები ზარალობენ... ეს მაგალითები საკმარისია... გაიხსენეთ რომ კითხვა ავტონომიას, ხალხის თავისუფლებას ეხება და არა მის დატანჯვას და შევიწროებას. აქედან ჩანს, რომ საერთო ინტერესები ჩვენ შორის არც ისე დიდია... საერთო მხოლოდ მტკვარია, როგორც ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი,—იგი ერთ ნაირათ ჩუხჩუხებს ჩვენში და ქვემოთკენ—ბაქოს გუბერნიაშიც...

ამას შემდეგ ილაპარაკა ბ-ნ ალ. ქალანთარმა. ქალანთარის სიტყვით ავტონომია ხალხის მოთხოვნილება არის, თუ არა ეს კიდევ საკითხია. მასთან იურიდიულ საზოგადოებას ხელთ იმდენი მასალა არა აქვს, რომ ეს საკითხი სამართლიანათ გადაწყვიტოს. მე ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, სამაზრო ერთეულები, ოლქებათ გაერთებულები და ავტონომიურათ მოწყობილები...

ქ. ა. ე რ მ ი შ ე ვ ი. მე საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგ არა მაქვს რა. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ კავკასიის ერთ ყოველთვის ექნებათ საერთო ინტერესები, მაგ., ომიანობა, მშვიდობიანობა და სხვ. ასეთ საკითხების გადასაწყვეტათ ჩვენ ერთათ უნდა შევიყარნეთ ერთ პარლამენტში. რა საფუძველი გვაქვს იმისი, რომ საქმე ხანდახან ისე არ გამწვავდება კერძო ავტონომიებს შორის, რომ ომსაც არ გამოიწვევს. მაშინ ხომ ისევ რუსეთის ცენტრალურ სამმართველოს დახმარებას უნდა მივმართოთ.

ნაფ. ვექ. თ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. ბ-ნს ქალანთარს ჩვენში ასე თუ ისე ბევრი იცნობს, იგი საზოგადო მოღვაწე და, მაშასადამე, სხვაზე არა ნაკლებ ვალდებული, რომ დასმულ კითხვაზე პირდაპირი პასუხი გასცეს, ის კი ხალხთან გვაგზავნის, ხალხს ავტონომია არ მოუთხოვიაო. მაშ ის სამაზრო ერთეულები კი მოითხოვა ხალხმა, რომელზედაც ბ-ნი ქალანთარი გვითითებს? მასთან ხშირათ გვსმენია, რომ კულტურის და თავისუფლების ის ნიშნები, რომელსაც ახლა დასავლეთ საქართველოში ვხედებით, მაგ., ხალხის გასამართლების ფორმები და სხვ.,—ყველაფერი ეს ძველათაც იყო ალექსანდროპოლში და სხვაგანო. შეიძლება ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრებნი უწინ კულტუროსნები იყვნენ, მაგრამ კითხვა იმაში როდია, საქმე იმაშია რას წარმოადგენენ ისინი ახლა? აი ამაშია საქმე... ბ-ნი ერმიშევი და სხვები „ერთობისაკენ" გვიწვევენ, მაგრამ არავითარი ერთობა არ იქნება იქ, სადაც ერთი ხალხის წარმომადგენელი მეტი იქნება, ვიდრე მეორისა და ამნაირათ შესაძლოა ამ უძლურ ხალხის ინტერესები დაიჩაგროს, მოგვეცით ავტონომია და ამ გზით ერთობაც უფრო განმტკიცდება.

ბ-ნი ჯ ა ბ ა დ ა რ ი თხოულობს გაარკვიონ, თუ რას შეიცავს შინაარსით ცნობა ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა. რაც შეეხება ნაციონალურ საკითხს,—განაგრძო ჯაბადარმა,—ჩვენ უნდა ვეცადოთ, არ გავამწვავოთ იგი, მასთან უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობაც. იქნებ ჩვენც მოვხვდეთ სადმე თერგის ოლქში ან სხვაგან ისეთივე მდგომარეობაში, როგორც დღეს კავკასიაში შემოხიზნული ერებია და იქნებ მეორე იურიდიული საზოგადოება შეუდგეს ამ საქმის გარჩევას...

ქ. ა. ე რ მ ი შ ე ვ ი ითხოვს გარდაცეს ავტონომიის საკითხის გარკვევა ცალკე კომისიას.

გ ძ ე ლ ი ე ვ ი ეწინააღმდეგება ამ აზრს, რადგან კომისიისთვის საქმის გადაცემა იმის წინასწარ გადაწყვეტას ნიშნავსო.

ალ. ქ ყ ო ნ ი ა ს აზრით კომისია საჭირო არაა, რადგან ამდენი ხანი იმსჯელეს ორივე მოწინააღმდეგე მხრით ბევრი ითქვა და საკითხიც საკმაოთ გამორკვეულიაო.

გ. გ ვ ა ზ ა ვ ა. საქართველოს ავტონომიის საკითხი გადაწყვეტილათ ჩაითვალოს, ხოლო სხვა ერების ავტონომიათა შესახებ მსჯელობა ცალკე კომისიას დაევალოს.

ბ-ნი ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით საჭიროა რეზოლიუციის გამოტანა, სადაც გარკვეულათ უნდა იყოს ნათქვამი იურიდიულ საზოგადოებისგან საქართველოს ავტონომიის საჭიროების აღიარება, მასთან სხვა ერებისთვის ავტონომიურათ სურვილისამებრ მოწყობის უფლება.

გ. თ უ მ ა ნ ო ვ ი უერთდება ამ აზრს.

დასასრულ კრებამ შემდეგი ბ-ნ ცოვიანოვის მიერ შედგენილი რეზოლიუცია გამოიტანა: იურიდიულმა საზოგადოებამ სცნო, რომ კავკასიის ყველა ერთ უფლება აქვთ ავტონომიურ მართვა-გამგეობისა და დაადგინა, რომ საქართველოსთვის ახლავე სასურველია და განსახორციელებელი ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია.

კავკასიის სხვა ერთა ავტონომიების შესახებ ცალკე წაიკითხავენ რეფერატებს. სხვათა შორის ასეთი კითხვა დანიშნულია მომავალ შაბათს.

მ.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

3 მაისი.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბირო. შესვენების შემდეგ ილაპარაკა მუშა მიხაილიჩენკომ (ეკატერინოსლავიდან, სოციალდემოკრატი). მან სავსებით აღნიშნა მუშათა კლასის გაჭირვებული მდგომარეობა და ის უფსკრული, რომელიც ყოფს მდიდრებსა და ღარიბებს და განაცხადა, რომ მუშებს არაფრის მიმატება არ სურთ საპასუხო ადრესზე, საკმაოა მხოლოდ მათი გახსენება, მუშები თვითონ დაიცავენ თავის თავსო. მაქსიმ კოვალევსკიმ თავის აზრიან სიტყვაში ... არ არის ნახსენები ... შემდეგი შეცდომები: ... ბლო და პეტიციის უფლებაზე, არ არის ნახსენები, რომ სახელმწიფო საბჭო მხოლოდ უმაღლესი ადმინისტრატიული დაწესებულებაა და არა საკანონმდებლო, არ არის ნახსენები, რომ აუცილებლათ საჭიროა მინისტრების მოქმედებას კონტროლი გაუწიონ. სიტყვის ბოლოს კოვალევსკიმ წინადადება მისცა სათათბიროს შეეტანათ ადრესში, რომ სათათბირო საერთაშორისო მშვიდობიანობისკენ მიისწრაფვის, მას სურს თავის მოქმედება ისეთ გზაზე დააყენოს, რომ ცხოვრება სხვა და სხვა კალაპოტში მიმდინარეობდეს, ხოლო მიმართულება კი ერთი ქონდეს. კოვალევსკის სიტყვამ ცხარე ტაშის ცემა გამოიწვია. ორ საათზე კრება შესწყვიტეს. სამ საათსა და 20 წუთზე კრება ისევ განაახლეს. ილაპარაკა ვილნის ეპისკოპოსმა ბარონ როოპმა, რომელმაც სთქვა, რომ კონსტიტუცია ათი მცნების სახით თვით ღმერთმა მიანიჭა ხალხსო, და ითხოვა ჩაემატებიათ ადრესში რამდენიმე წინადადება, რომელიც ახასიათებს სხვა და სხვა ნაციის და კლასების ურთიერთ ქრისტიანულ სიყვარულს. როოპის სიტყვა გრძელდება. სედელნიკოვი (ორენბურგი) თხოულობს შეიტანონ ადრესში, რომ კაზაკები უფლებრივ გათანასწორებულ იქნენ სხვა დანარჩენ გლეხებთან ერთათ. მან წინადადება შეიტანა, რომ ციმბირის ძირითად მცხოვრებ კირგიზებს და ბაშკირებს მიწები მისცენ, რომლების მიწებზე უსამართლოთ გადასახლებულებს ასახლებენ. ჟუსტოშკინმა (სიმბირსკი) სთქვა, რომ როცა გაისმა სანეტარო ხმა 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ, ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა, მარა მათი სიხარული უდროვო გამოდგა, ბნელმა ძალებმა თავი წამოჰყვეს, ბოლო მოუღეს მათ სიხარულს. თხვრა-კვნესა, ცრემლების ზღვა, ტანჯვა-ვაება, აი რით შეიცვალა 17 ოქტომბრის მანიფესტი. ასეთივე აღტაცებით და სიხარულით მიეგება ხალხი მეფის სეფე-სიტყვას, მაგრამ აქაც შესაძლებელია სიხარული მწუხარებათ შეიცვალოს, მაუხედავათ ამისა სათათბირო ენერგიულათ უნდა შეუდგეს ქვეყნის განახლებისთვის მუშაობას, მან უნდა გამოგლიჯოს მეფე სანოვნიკების მწვეტიან კლანჭებიდან, მან უნდა უთხრას მეფეს, რომ მხოლოდ ხალხთან ერთათ შესაძლებელია სამშობლოს საკეთილდღეოთ მუშაობა. კოტლიარევსკიმ სთქვა, რომ თუ ადრესში შეცთომებია ეს არსებითი არ არის, რადგან ადრესის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ როგორც ხალხის წარმომადგენლებისგან გამოსული ის ავტორიტეტული აქტია. ლოშკოვი (პეტერბურგი) ამბობს, რომ ადრესი გამსჭვალულია ყველა კლასების განთავისუფლების სულით, ის თხოულობს ადრესა შეუსწონ იმით, რომ მოითხოვონ ქალების უფლებრივ გათანასწორება და სრული ამნისტია. შემდეგ სათათბირომ გადაწყვიტა ადრესის შესახებ მოლაპარაკე ორატორების სიტყვა განისაზღვროს ხუთი წუთით. 7 საათსა და 10 წუთზე კრება სათანადოთ შეწყდა. კრების გახსნისას პირველათ ილაპარაკა ბუტიმანოვმა (კურსკის გუბერნიიდან). მან აღნიშნა, რომ თვითნებობა და ძალმომრეობა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა, საჭიროა მეტი გამბედაობა და გაბედულათ მოთხოვნა იმისა რაც ეხლა ჩვენ ბედკრულ ქვეყანას სჭირია. მაგალითად ამნისტია, ამბობენ, რომ სატუსაღოებში დამწყვდეულებს და ციმბირში ცოცხლათ დამარხულებს, თუ ამდენხანს ითმინეს. რამოდენიმე თვეც შეუძლიათ მოითმინონო, მერე იცით რა ამბები ხდება ეხლა?! ეკატერინოსლავიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 30 ტუსაღი, სიმდერისთვის ხმლებით აუკეპიათ, ცარიცინში დაჭრეს 8 მუშა, მერე რისთვის იმისთვის რომ მღეროდნენ. კ ბინეტი რომ გადაკეთდეს და ახალ მინისტრებს გამოეცვალოს ყველა მოხელეები, პოლიცია და ჟანდარმერია, მხოლოდ მაშინ შეიძლება შესაძლებელი იყოს რამე ცვლილების მოხდენა. წინადადებას გაძლევთ შეიტანოთ ადრესში შემდეგი: „სათათბირო აუცილებელ საჭიროებათ სცნობს როგორც საზოგადო, ისე კერძო ცხოვრება ხელშეუხებელი იყოს, რაც ეხლა უკვე აღარ არსებობს: „ოქტომბრის მეორე ნახევრიდან თქვენი უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომნი პოლიციის და ჯარის სრულ განკარგულებაშია, ძარცვა-გლეჯა და თვდასხმა დღითი დღე მატულობს" ორატორი წინადადებას იძლევა დაასრულონ საერობო და ქალაქის საარჩევნო კომიტეტები და მათ განკარგულებაში მისცენ შეიარაღებული მცხოვრებლები. დღემდე მთავრობა კანონებს ადგილობრივ პოლიციის, ჟანდარმების და ჯაშუშების თანახმათ სცემდა. ის მინისტრები, რომლებიც აქ არიან, როცა მოუსმენენ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა კუთხეებიდან აქ შეგროვილან, მათ საერთო განცხადებას, გაიგებენ რა ზომებია საჭირო რუსეთის დასამშვიდებლათ. იმ გლეხებმა, რომლებმაც მე ამირჩიეს, როცა მაცილებდნენ მითხრეს: „წადი, დაგვიცევი, მოითხოვე მიწა, თავისუფლება და უფლებაო. თუ ეხლავე სათათბირო არ შეუდგება ყველა ამ კითხვების გადაწყვეტას, მაშინ ჩვენ თვითონ ვა... ... ... ვთ ის, რაც ჩვენ გვინდაო".—9 საათსა და ... წუთზე ... დაიწყო. კენჭი უყარეს ადრესს, რომელიც მიღებულ იქნა. შემდეგ თავმჯდომარემ წამოაყენა საკითხი ადრესის განხილვის შესახებ. სიტყვა ითხოვა როდიჩევმა, მან მიმართა სათათბიროს და სთხოვა ტყუილათ დროს ნუ კარგავთ ადრესის განხილვაზეო. თავმჯდომარე აწყვეტინებს, იმ აზრით რომ ეს ეხლანდელ დადგენილების წინააღმდეგიაო. გრაფი გეიდენი პროტესტს აცხადებს როდიჩევის წინადადებაზე და თხოულობს ნება მისცენ ყველას თავთავიანთი აზრი გამოსთქვან შეუდგენ ადრესის მუხლების განხილვას. წაიკითხეს პროექტის პირველი ნაწილი მთელი პირველი აბზაცი სიტყვა „მოწოდებამდე". ამ ნაწილში შემდეგი ჩაუმატეს: პირველი —სათათბიროს წევრის ზაბოლოტნის წინადადებას „საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე" მიემატოს სიტყვები „განურჩევლათ სქესისა" მეორე—თვით კომისიის წინადადება, უკეთუ ზაბოლოტნის წინადადება არ გავა, დაუმატონ: „საყოველთაო, პირდაპირი, და ფარული კენჭის ყრა, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა". პირველი ლაპარაკობს ანიკინი (სარატოვი) მხარს უჭერს ადრესის ამგვარ შესწორებას, ოთხ ნაწილიან ფორმულის ძალით, რისთვისაც ბარიკადებზე და ქუჩებში ხალხი ათასობით იხოცებოდა. ის აცხადებს, რომ როცა ის სათათბიროში მოდიოდა ასე ეგონა ოთხწილიან საარჩევნო უფლებას ხალხს არ ძალევენ წინდაუხედველობით, აქ კი გამოირკვა, რომ მას არ ძალევენ „საზიზღარ" წინდახედულობით. თავმჯდომარე აჩერებს ორატორს, რომელსაც უკან მიაქვს სიტყვა „საზიზღარი". ხმაურობა „კმარა", ზოგიერთ სკამებიდან ტაშს უკრავენ. მომხსენებელმა ნაბოკოვმა აუხსნა კრებას, რომ კომისია თუმცა არ უარყოფს ოთხ ნაწილიან ფორმულას, მხოლოდ უნდოდათ ისე გამოეხატათ ეს, რომ ორივე პარტია შეერთებულიყო, რისთვისაც მათ უარ ყვეს ფორმულის ადრესში შეტანა. ზაბოლოტნი (პოდოლსკი) აცხადებს, რომ როცა ასეთი შესწორება შეიტანა ადრესში, მას წარმოდგენილი არ ქონდა თუ ხალხის საქმე განსაცდელში იყო, რადგან უმრავლესობა ოთხნაწილიან ფორმულის წინააღმდეგი აღმოჩნდა და ხმას უმეტესობით კიდეც უარ ყვეს. ის წარმომადგენელია ორი მილიონი გლეხობის, რომლებიც თხოულობენ ფორმულას, რაც შეეხება ქალებს, რუსეთის მცხოვრებლების ნახევარი, სამოცდა ათი მილიონი, ქალებია პოლიტიკურ უფლებებს თხოულობენ. ამას, რომ მათი მომხრე მიუმატოთ, გამოვა რომ დიდი უმეტესობა ქალების საზიარო მონობისგან განთავისუფლებისთვის თავს სდებენ.—თავადი შახოვსკოი ამბობს, რომ საარჩევნო უფლებებზე ლაპარაკი უდროვოაო. ეხლა ადრესი არჩევენ ამიტომ მხოლოდ ადრესის მუხლები უნდა განვიხილოთ. თხოულობს მიიღონ პირველი მუხლი ისე როგორც კომისიამ შეიმუშავა. ნაბოკოვი მხარს უჭერს შახოვსკოის. ლომშაკოვი ზაბოლოტნის წინადადების კმარობს. გრუმდიკოვი (ვორონეჟის გუბერნიიდან) დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავის განცხადებით, რომ ქალების სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ ოჯახია და ამტკიცებს, რომ ... გლეხების ქალებს არავითარი პოლიტიკური უფლებები არ უნდათ. ზაბოლოტნი ისევ თავის წინადადებას იცავს და ამბობს. გლეხები შეიტანენ, როცა გაიგებენ როგორ მოიქცნენ მათი წარმომადგენლები სათათბიროში, რადგან ისინი არა პირდაპირი და თანასწორი ხმით იყვნენ არჩეულნი. ოთხნაწილიან ფორმულით რომ მომხდარიყო არჩევნები მაშინ აქ 150 კი არა 500 წარმომადგენელი ეყოლებოდა გლეხებს, და მაშინ გლეხები გაიგებდნენ, რაც მათთვის საჭიროა იყო. პასუხს აძლევს გრაფი გეიდენი: „ჩემ გუბერნიაში ამომრჩევლებათა უმრავლესობა გლეხები იყვნენ და ამაჩიეს მე. ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ სათათბიროში უმრავლესობა გლეხობაა". მაკლაკოვსკი, თუმცა „ხალხის თავისუფლების" პარტიის წევრია, მაგრამ ამბობს, რომ ის წინააღმდეგია კომისიის რედაქციის, რომელიც პარტიამ მიიღო. 30 წევრმა წინადადება შეიტანეს კამათის შეწყვეტის შესახებ. სათათბირომ მიიღო ეს წინადადება.

როდიჩევის შემდეგ ილაპარაკა გრაფ პოტოცკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ მიწების განაწილების დროს სახეში უნდა მიიღონ იმ მეურნეთა მდგომარეობა, რომლებსაც მაწის დამუშავებაზე ბევრი შრომა დაუხარჯავთ. სათათბირო პოტოცკის სიტყვას სამარისებურ სიჩუმით შეხვდა. შემდეგ ილაპარაკეს რუმიანცევმა და გრაფ გეიდენმა. უკანასკნელი იცავდა თავადაზნაურობას და ერობას, მან სთქვა, რომ ერობამ დიდი როლი ითამაშა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სახელმწიფო საბჭოს გადაკეთება სასურველია, მაგრამ სათათბიროსთან ერთათ ის პირველი ცდაა ხალხის წარმომადგენლობის. რიგაკოვი (ეკატერინოსლავი) აცხადებს, რომ ადრესში დავიწყებულია რუსი ქალი; მონა-ქალის შვილი მოქალაქე ვერ იქნებაო. ილკინი (სარატოვი) ამბობს, რომ ადრესში შეუძლებელია აიწეროს ყველა ის უბედურება, რაც ხალხმა გამოსცადო. ... (ეკატერინოსლავი) წინააღმდეგია ადრესის ამგვარ ფორმულირებისა: „მოხელეთა თვითნებობა—უმთავრესი ბოროტებაა" კლასობრივ განსხვავებების; ის წინააღმდეგია სიკვდილის დასჯის გაუქმების, საზოგადოთ ის წინააღმდეგია გაფიცვების თავისუფლების, ეს სასიკვდილო ბრძოლის იარაღიაო; საზოგადოთ ადრესი ძალიან მკაცრათ არის შედგენილიო. სპოსობნის, სიტყვას ჩქარ-ჩქარა აწყვეტინებენ, თავმჯდომარე მშვიდეს კრებას. შასნიეცმა (სიმბირსკი) სთქვა, რომ როცა ის მოდიოდა, ამომრჩევლებმა დაავალეს ეთქვა მას, რა მხურვალე შესწირეს მათ თავისუფლებას. ხალხს თავისუფლება უნდა, თავისუფლება ფრთა გაშლილი, რომლითაც მხოლოდ გაიწონს ექნება საქმე. კრება შესწყდა.

კრების გახსნისას პირველმა ილაპარაკა სემიონოვმა. მისი აზრით ადრესი სავსებით ვერ ახასიათებს ქვეყნის მდგომარეობას. ის მარტო პალატის კი არა მთელი ხალხის აზრის გამომხატველია და ადრესში კი ნათლათ არ არის აღნიშნული, რომ ხალხს თავისუფლება უნდა ისე, როგორც მიწა. საჭიროა ადრესში ნაჩვენები იყოს რეფორმების დაუყოვნებლივ შემოღება, ეს კი ადრესში არაა. ეს წინადადება—პირველი საშუალებაა ხალხის დასამშვიდებლათ, რომელიც როგორც ბრმა სამსონი, მზათ არის ყველაფერი გაანადგუროს და თვითონაც დაიღუპოს ნანგრევებში. შემდეგ მეორე დეპუტატი თხოულობს შესწორებულ იქნას ადრესი, რომ ამნისტია აგრარულ და სარწმუნოებრივ დანაშაულებზეც გავრცელდეს. ადრესში მხოლოდ ამნისტიის პოლიტიკურ დამნაშავეებისთვის თხოულობენ. თხოულობს ადრესი შეკეთებულ იქნეს, ფორმულიროვკა „საყოველთაო საარჩევნო უფლების" მიემატოს „განურჩევლათ სქესისა", მიწების შესახებ მიემატოს „საეკლესიო მიწები". მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს ადრესი ხალხის ნამდვილი სურვილების გამომხატველი. შემდეგ ილაპარაკა შჩეპკინმა (ოდესა)—მან მოუწოდა ხელი არ მოაწერონ ადრესზე მათ, რომლებიც კანონიერათ სცნობენ სიკვდილით დასჯას და ხალხის განადგურებას, და კრამოლის შიშით მზათ არიან ადრესს ხელი მოაწერონ „რუსკოე სობრანიე"-ს ბრძანებით იმათ, რომლებიც მკვდარ წეს-წყობილების უარყოფა არ უნდათ, ხელი უნდა მოაწერონ „წესიერების პარტიის" ადრესზე; ხელი მოაწერონ იმათ, რომლებიც გაფიცვის დანაშაულათ მიაჩნიათ, რომლებიც ... კაპიტალის ხელშეუხებლობას და ... მიწათმფლობელობას, მიწების ჩამორთმევას კერძო საკუთრების უფლების დარღვევათ მიაჩნიათ, რომლებიც მზათ არიან ... მრეწველთა პარტიის ადრესს ხელი მოაწერონ; ხელი მოაწერონ მათ, რომლებიც გულდამშვიდებით შეიძლება ძვირფას სისხლში და სენტიმენტალურით სწამთ ... ცხვრებათ გადაქცევა. ხელი მოაწერონ მათ, რომლებიც დანაშაულობათ სთვლიან გაფიცვას და 17 ოქტომბრის ... შირის ადრესზე ხელს აწერენ. სათათბიროს ადრესზე იმათ მოაწერონ ხელი, რომლებსაც სწამთ, რომ ხალხის თავისუფლების საქმე ყველა იმაზე მაღლა დგას. რაც მთავრობას სწამს (?) პალატა 3 ლიბულია ადრესს ხელი მოაწეროს. ქვეყანა ასეთ მდგომარეობაშია: ძველი კედელი ... ღარ იმაგრებს აზ ... ერთებულ მდინარის ტალღებს ძველი „სტოროჟები" ამაგრებენ კედელს ნაგავით, და გონიათ, რომ საუკუნოებით ეყოფათ ეს. მაგრამ არა, კედელი უნდა დაინგრეს, ის ველარ გაუძლებს სტიქიურ ძალას. სათათბირო ცდილობს წყალი წისქვილისკენ გაუშვას და „აპჩინკებს" კედელს. ადრესი სათათბიროს მომავალათ მოქმედების გამომხატველია. თუ მაგას ყურადღებას არ მიაქცევენ და კედელი დაინგრა, სათათბირო იტყვის, „ჩვენ გაფრთხილებდითო" (ცხარე ტაშის ცემა). კუზმინ კარავაევმა დიდებული სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ (ცხარე ტაშის ცემა).

**ნოვოროსისკი**. გაათავისუფლეს 43 პოლიტიკური ტუსაღი.

**ბაქო**. სატუსაღოში ყარაულმა პოლიტიკურ ტუსაღს თოფი ესროლა და მოკლა, რადგან ის ფანჯარასთან იდგა.

**დონის როსტოვი**. ოთხმა კაცმა შეიარაღებულ ქალაქში გასტეხეს იარაღის მაღაზია და წაიღეს 15 მაუზერის ვინტოვკები.

**მოსკოვი**. უსაქმო მუშები მშვიდობიან მანიფესტაციის მოხდენას აპირობდა, რომ ყურადღება მიაქციონ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას.

**სმოლენსკი**. გაანთავისუფლეს 9 პოლიტიკური ტუსაღი; პერმის გუბერნიისკენ 10 გლეხი გაგზავნეს.

**პეტერბურგი**. „სტრანა" იტყობინება, რომ პარლამენტის ნაციონალურმა ჯგუფმა გადასწყვიტა კავშირის შედგენა ერთი ტაქტიკით მოქმედებისთვის სათათბიროში სამოქალაქო ავტონომიის საკითხის შესახებ. კავშირში სხვა და სხვა ერების წარმომადგენლები შევიდნენ.—მწერალი პეშეხონოვი სახელმწიფო სათათბიროს წევრთა შუამდგომლობით თავდებით გაანთავისუფლეს და გირაოთ 3 10 მანეთი მოთხოვეს.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო საბჭომ დღევანდელ კრებაზე გადასწყვიტა აირჩიონ 18 კაცისგან კომისია სეფე-სიტყვის ადრეს-პასუხის შეხედვით, მხოლოდ ადრესის შინაარსის შესახებ წინასწარ დარიგება არ უნდა მისცენ.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ახალი წიგნები

ვ. ბადილიას წიგნის მაღაზიის გამოცემული ახალი ქართული წიგნები

**იყიდება** შემდეგ ადგილებში:

**ქუთაისში**. წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა"-ში.

**ბათუმში**. კილაძის და თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ს. ჭელიძესთან.

**სოხუმში**. მ. ძიძიგურის გაზეთების ბიუროში.

**ფოთში**. თნასიმე ყვანიასთან.

**ლანჩხუთში**. გ. ებრალიძესთან.

**სამტრედიაში**. ფარ. კალაძის წიგნის მაღაზიაში.

**ზესტაფონში**. აფრასიონ განჩელაძესთან.

**ჭიათურაში**. გლ. მასკმვილთან.

**ბაქოში**. ძმ. ტარაიანცების წიგნის მაღაზიაში.

**სად. უჯარაში**. (ბაქ. გუბერნია) ლევან განკავასთან.

**ბათუმში, სამტრედიაში, ჭიათურაში** და **ქუთაისში** პარტიით მყიდველებს დაეთმობათ 25 პროცენტათ მანეთზე და ვინც თფილისიდან გაიწერს 30 პროცენტათ, მხოლოდ გზის ხარჯს არ გკისრულობთ.

(3—1)